

რისმაც გორდუჯიანი

ეტირუსკული
და
ქართველური



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

VERLAG DER TBILISSER UNIVERSITÄT

Р. В. ГОРДЕЗИАНИ
R. GORDESANI

ЭТРУССКИЙ И КАРТВЕЛЬСКИЙ
ETRUSKISCH UND KARTWELISCH



რისმაც გორდუზიანი

ეტრუსკული და ქართველური

თბილისი 1980

წინათქმა

ეტრუსკული, იტალიის უძველეს მკვიდრთა ენა, დღეს ბევრად უკეთაა ცნობილი, ვიდრე ორიოდ ათეული წლის წინათ იყო. ამას ხელი შეუწყო ახალმა ეპიგრაფიკულმა აღმოჩენებმა, მათ შორის პირგის ცნობილმა ბილინგვამ. რაც მთავარია, უკანასკნელ წლებში გამოიცა ა. ი. პფიფიგის¹, მ. პალოტინოს², მ. კრისტოფანისა³ და სხვათა⁴ გამოკვლევები ეტრუსკული ენის გრამატიკული წყობისა და ეტრუსკული ლექსიკის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს მეტი წარმატებით ვიკვლიოთ ეტრუსკული ენის ბუნების, მისი სხვა ენებთან შესაძლებელი ნათესაური კავშირებისა თუ მიმართებების საკითხი. რასაკვირველია, ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ თითქოს დღეს ეტრუსკული ენა მთლიანად გაშიფრულია, ყველა წარწერის აზრი ამოკითხული და ყველა სიტყვის მნიშვნელობა დადგენილია. პირიქით, ეტრუსკული ჯერ კიდევ ძალზე ბევრ საიდუმლოს ინახავს, ჯერ კიდევ უცნობია მის სიტყვათა დიდი უმეტესობა და საბოლოოდ გაურკვეველია თითქმის ყველა ვრცელი წარწერის აზრი.

მართალია, ამ საუკუნის მანძილზე ეტრუსკული ენა დაუკავშირეს ენათა სულ სხვადასხვა ჯგუფს, ერთხანს თითქმის გადაწყვეტილადაც მიიჩნიეს მისი ინდოევროპულთან გენეტიკური კავშირი, მაგრამ დღეს თითქმის ყველა მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ეტრუსკული არ არის არც ინდოევროპული, არც სემიტური ჯგუფის ენა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ვ. თომსენმა⁵ წამოაყენა მოსაზრება ეტრუსკულის კავკასიურსა და ბასკურ ენებთან მიმართების

თაობაზე. მისი ჰიპოთეზა ერთხანს გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა და მას ხშირად მიმართავდნენ ე. წ. მედიტერანული თეორიის მომხრენი, მაგრამ ფაქტობრივად თომსენის შემდგომ თითქმის აღარავის უცდია, თუ არ ჩავთვლით ნ. მარს⁶, ეტრუსკული და კავკასიური ენების სერიოზული შეპირისპირება; გამონაკლისია ს. ფერი; მან 1950 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი⁷, რომელშიც ეტრუსკული და კავკასიური ტოპონიმების შეპირისპირების ცდას გეთავაზობს. იგი ვარაუდობს, რომ ძვ. წ. ა. III ათასწლეულის მიწურულში კავკასიიდან იტალიაში საბერძნეთის გავლით გადასახლებულა კავკასიურ ტომთა ერთი ნაწილი, რომელსაც შეუქმნია ე. წ. კავკასიური სუბსტრატი შემდგომ ფორმირებული ეტრუსკულისათვის. ამ დასკვნამდე ს. ფერი ძირითადად ტოპონიმური მასალის ანალიზის საფუძველზე მიდის. სამწუხაროდ, მისი არგუმენტაცია ხშირად მოკლებულია დამაჯერებლობას, რის გამოც ეტრუსკების კავკასიურ სამყაროსთან დაკავშირების ამ ცდამაც ვერ პოვა მხარდაჭერა მეცნიერებაში.

1969 და 1970 წლებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ნაშრომები⁸, რომლებშიც ყურადღება გავამახვილეთ ქართველურ-ეგოსურ და ქართველურ-ეტრუსკულ ენობრივ პარალელებზე. იმხანად ჩვენ არ გვიცდია წარმოგვედგინა რაიმე კონკრეტული დასკვნა, რომელიც ახსნას მოუნახავდა მრავალრიცხოვან ეტრუსკულ-ქართველურ ენობრივ პარალელს. 1975 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში კი უკვე შევეცადეთ ეს პარალელები დაგვეკავშირებინა ხალხთა მიგრაციების სხვადასხვა ტალღებთან ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით კი კავკასიურ ტომთა მძლავრ გადასახლებებთან ეგეიდსა და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში აღრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისში⁹. დღეს ჩვენი თვალსაზრისი მხარდაჭერას პოვებს წინაბერძნული ენების ცნობილი მკვლევარის

უ. ფურნეეს ნაშრომებშიც⁹. აღსანიშნავია, რომ შემობრუნება შეინიშნება ეტრუსკოლოგიაშიც. ა. მ. ჯ. გარბინი თავის ახლახან გამოქვეყნებულ წერილში¹⁰ ეტრუსკული ზმნის სტრუქტურის ქართველურთან სიახლოვეზე ლაპარაკობს, ხოლო ე. შტრნადი ქართველურისა და ეტრუსკულის გენეტიკურ ნათესაობასაც კი უშვებს¹¹. რასაკვირველია, როგორც ერთ, ისე მეორე წერილში ბევრი რამ იწვევს დავას. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ ევროპულ მეცნიერებაში აშკარად შეინიშნება ინტერესის გაძლიერება ქართველურ-მედიტერანული ურთიერთობების კვლევისადმი.

ამჟამად ჩვენ არ განვიხილავთ ამ შემობრუნების ისტორიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური თუ სხვა ხასიათის მიზეზებს. გვინდა მხოლოდ, მოკლედ ჩამოვყალიბოთ ის შედეგები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ეტრუსკულისა და ქართველურის კვლევის საფუძველზე და რომლებიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება როგორც ეტრუსკოლოგების, ისე ქართველოლოგებისათვის.

ჩვენი ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთ ნაწილს იმ ვრცელი გამოკვლევისა, რომელზედაც ვმუშაობთ ამჟამად და რომელშიც გვინდა შეძლებისდაგვარად სრული სურათი წარმოვადგინოთ უძველესი კავკასიურ-მედიტერანული ურთიერთობებისა ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში.

აქვე გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა მოვახსენოთ პროფესორ მ. პალოტინოს, ბატონ ა. პფიფიგს, რომის უნივერსიტეტის ეტრუსკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს, რომლებთან ურთიერთობამ, აზრთა გაზიარებამ იტალიაში ჩვენი მივიღინების პერიოდში (1972—1973 წლებში) ხელი შეგვიწყო უფ-

რო ფართოდ გამოგვეყენებინა მუშაობაში თანამედროვე ეტრუსკოლოგიის მიღწევები.

ეს გამოკვლევა გვინდა ვუძღვნათ აკად. ილია ვეკუას ნათელ ხსოვნას. სწორედ მისი ხელშეწყობით მოგვეცა ეტრუსკოლოგიურ ცენტრებში ხანგრძლივი მუშაობის საშუალება.

ეჭრუსკულ-ქართველური ზგერათუფზარღეზეზისათვის

ღღეს ეტრუსკული და ქართველური ენების უეპირისპირებას მყარ საფუძველს უქმნის ის, რომ, ჩვენის აზრით, ხერხდება ბგერათ-შესატყვისობების საკმაოდ ჩამოყალიბებული სისტემის დაღგენა მათ შორის. თავის მხრივ, ამგვარი შესაბამისობების გამოვლენა მხოლოდ ეტრუსკული ენის ე. წ. გაშიფრულ თუ იდენტიფიცირებულ სიტყვათა უახლესი საძიებლებისა და ლექსიკონების გამოცემის შემდგომ გახდა შესაძლებელი¹². მართალია, ღღესაც კი ჩვენი ცოდნა მხოლოდ რამდენიმე ათეული საიმედოდ გარკვეული ეტრუსკული ფუძით თუ საკმაოდ ფრაგმენტულად გამოვლენილი გრამატიკული ელემენტით განისაზღვრება, მაგრამ ეს უკვე საკმარისია გარკვეული წინასწარი დასკვნების გასაკეთებლად. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეტრუსკული ანბანი, ფინიკიურ-ბერძნულის ვარიანტი, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდა ეტრუსკულის ბგერათა სისტემას. ეტრუსკულის ე. წ. ალფაბეტ-მოდელში, რომელიც ძვ. წ. ა. IX—VIII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება, 26 ნიშანია მოცემული, რომელთაგან ეტრუსკული შემდგომ მხოლოდ 22-ს გამოიყენებს¹³. ეტრუსკულ დამწერლობაში ვხვდებით ხმოვანთა აღმნიშვნელ ოთხ ნიშანს a, e, i, u. როგორც ჩანს, რეალურად ეტრუსკულში არსებობდა ო ხმოვანიც, მაგრამ იგი, სავარაუდოა, მარცვლოვანი ეგეოსური ტიპის დამწერლობის გავლენით, არ აისახა ეტრუსკულ ანბანში. ო-ხმოვნის არსებობაზე ეტრუსკულში უნდა მიუთითებდეს ზოგიერთი ეტრუსკული ტერმინის ლათინურად გაღმოცემისას ო-ს გამოყენება¹⁴. გრაფიკული ექვივალენტი ო და u ბგერისა ეტრუსკულში იყო u. როგორც ჩანს, ეტრუსკული ხმოვნებისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული მონაცვლეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია a/e მონაცვლეობა ზმნურსა და სახელურ ფუძეებში. როგორც ა. პფიფიგი ვარაუდობს, a-ს გადასვლას e-ში, მეტწილად, იწვევს მომღვენო მარცვალ-

ში i-ს ან e-ს გაჩენა. მაგ., car-u, მაგრამ cer-in-e; clan, მაგრამ clen-si და ა. შ.¹⁵ თუმცა ამ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება ზოგიერთი სხვა მაგალითი. როგორც ჩანს a/e მონაცვლეობა ეტრუსკულ ფორმთა ერთ ნაწილში კვალიტატიური აბლაუტით იყო განპირობებული, სხვებში კი უბრალოდ მედიტერანულ-ეგეოსურ ენათათვის დამახასიათებელი a/e უფუნქციო მონაცვლეობით¹⁶. ამ მხრივ ეტრუსკულთან საკმაოდ აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ქართველური, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც ე/ა კვალიტატიური აბლაუტი, ასევე ე/ა უფუნქციო მონაცვლეობა¹⁷. დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ეტრუსკულისათვის u/v მონაცვლეობაც: serturu serturu, pvrnisa/purnisa. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ v შეიძლება შეგვხვდეს ყველგან, განსაკუთრებით შედარებით გვიანდელ წარწერებში, სადაც მოსალოდნელია u.¹⁸ როგორც ცნობილია, ვ/ჭ/უ მონაცვლეობა ასევე კანონზომიერია ქართველური ენებისათვის, სადაც ამას აქვს სრულიად გარკვეული ფონოლოგიური საფუძველი¹⁹. როგორც ჩანს, არ შეიძლება მთლიანად დავეყარდნოთ ეტრუსკულ ანბანს თანხმოვანთა დახასიათებისასაც. მისი მიხედვით, ჩვენ გვაქვს სამი (თუ ხუთი) ყრუ-მკვეთრი ხშული c, (k, q), t, p; სამი ასპირირებული ხშული χ, მ, ფ; ორი (თუ ოთხი) სიბილანტი წ, s (s, š); ერთი სიბილანტური აფრიკატი z; ერთი ლაბიოდენტალური სპირანტი f; ალბათ ბილაბიალური სპირანტი v, ასევე h, რომელიც უპირატესად სიტყვის თავში გვხვდება. ორი ლიკვიდალური—l, r; ორი ნაზალური—m, n თანხმოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ანბანში არ მოგვეპოვება გრაფიკული ნიშნები b, g, d მკლერთა გადმოსაცემად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეტრუსკულში ეს ბგერები რეალურად არსებობდნენ. ამაზე მიუთითებს ისევ და ისევ ეტრუსკულ ტერმინთა ლათინური ექვივალენტები²⁰. უნდა ვიფიქროთ, რომ ეტრუსკული სიბილანტები და ყრუ მკვეთრი ხშულები გადმოცემდნენ ბგერათა მთელ რიგს, რომელთაც კლასიკურ ენებში არ გააჩნდათ თავისი შესატყვისები. ამას ემატება ისიც, რომ მსგავსად მედიტერანული ენებისა, ეტრუსკულში შეინიშნება თანხმოვანთა შორის თავისუფალი მონაცვლეობის ტენდენციები: c/χ, t/მ, p/ფ, s/z და ა. შ.²¹ სწორედ ამიტომ, როდესაც ეტრუსკულ-ქართველურ ბგერათშეფარდებებზე ვმსჯელობთ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ეტრუსკულ ბგერათა ვარირებისაკენ მიდრეკილება.

ვფიქრობთ, ეტრუსკულსა და ქართველურ ბგერებს შორის შესაბამისობის გარკვეული სისტემის დადგენაზე მაინც მხოლოდ თანხმოდანთა ფარგლებში შეიძლება ლაპარაკი და ისიც—შესატყვისობებზე ზოგჯერ გარკვეულ ჯგუფებს შორის. ქვემოთ ჩვენ წარმოდგენთ ჩვენ მიერ დადგენილ ძირითად ეტრუსკულ-ქართველურ თანხმოდანთშეფარდებებს. ეს შესატყვისობები ეყრდნობა ნაშრომში წარმოდგენილ შეპირისპირებებს ლექსიკისა და სიტყვათწარმოების სფეროში. რიცხვები ყოველი შესატყვისობის შემდეგ მიუთითებენ ნაშრომში წარმოდგენილ იმ ლექსიკური შეპირისპირების ნომერს, რომელსაც ვეყრდნობით ჩვენ ამა თუ იმ ბგერის შესატყვისობის დადგენისას.

ეჭრუსკულ-ქართველური ტანხმომვანთხფარღვებო

ეჭრუსკული	ქართველური		
c/ч	г	გ	7 (სვან.), 19, 35
	к	კ	11 (ქართ.), 20, 21
	к	კ	7 (ზან.), 42 (ქართ.), 50
	ч	ყ	4, 5, 28
	х	ხ	25, 48
c	к	კ	—
	х	ჩ	6, 27
ძ/t	д	დ	1, 22, 23, 24 (ქართ.), 29 (ქართ.), 43 (ქართ.)
	т	თ	16, 30, 33, 36 (ზან.), 39, 41, 42 (ქართ.), 46, 47, 57, 58, 59, 60
f	т	ფ	—
	ф	ფ	26
v	в/(უ)w/(u)		5, 6, 10, 14, 33, 59, 62
l	л	ლ	4, 6, 9, 11 (ქართ.), 12 (ქართ.), 13 (ქართ.), 14, 26, 29 (ქართ.), 30, 31, 40, 51 (ქართ.), 54, 61, 62
	р	რ	5, 15, 20, 47, 48, 49 (ქართ.), 55, 56, 58, 60
s, ზ, z	с	ს	7 (ზან.), 7 (სვან.), 25, 32
	(с)	(ს)	—
	с ₁	ს ₁	9, 31, 52
	ш	შ	7, 45 (ქართ.)
	с	ც	40, 50
	с ₁	ც ₁	8, 21
	д	ძ	51 (ქართ.), 53, 61
	д ₁	ძ ₁	10
	ф	ფ	—
	ф ₁	ფ ₁	56, 57
p/ფ	р	პ	24 (ქართ.)
	б	ბ	46, 49 (ქართ.)
m	р	მ	3, 13 (ქართ.)
	ф	მ	26, 54, 55
n	м	ნ	23, 34, 44
	н	ნ	2, 16, 17, 18, 28, 32, 34, 37 (ზან.), 44, 45 (ქართ.), 52, 53
h	х	ხ	8, 41, 43 (ქართ.)

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ეჭრუსკულ-ქართველური შესატყვისობა მხოლოდ ერთ-ერთ ქართველურ ენაში არსებული ტერმინით დასტურდება, ჩვენ შესაბამისი რიცხვის შემდეგ ფრჩხილებში ვუთითებთ ამ კონკრეტულ ქართველურ ენას. ქართველურ შესატყვისთა გრაფაში წარმოდგენილია ქართველლოგიაში შემოღებული ლათინური ტრანსკრიფციაც.

ეტრუსკულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრები

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ეტრუსკულ-ქართველურ ლექსიკურ შესაბამისობებს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. ბოლო განყოფილებაში „სხვადასხვა“ თავი მოიყარა იმ ტერმინებმაც, რომელთა გამოვლენა ჩვენ ნაშრომის ხელნაწერის დასრულების შემდგომ შეეძლებოდა და, ნუმერაციის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ისინი აღარ გადავანაწილეთ შესაბამის სემანტიკურ ჯგუფებში. ეტრუსკული ფორმების მნიშვნელობათა განსაზღვრისას ჩვენ ძირითადად მ. პალოტინოს²¹ და ა. პფიფიგის²² მიერ შედგენილ ლექსიკონებს ვეყრდნობით. ქართველურ ტერმინებზე მსჯელობისას კი ა. ჩიქობავასა²³ და გ. კლიმოვის²⁴ ქართველურ ენათა ლექსიკონებს. ამდენად მათ აღარ მოვიხსენიებთ შენიშვნებში ყოველი ცალკეული ფორმის ანალიზის დროს. საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მხოლოდ მკვლევარის გვარს ფრჩხილებში ან ნაშრომის შემოკლებულ სახელწოდებას. ეტრუსკული ლექსიკური ერთეულების ქართველურ შესაბამისობათა წარმოდგენისას ჩვენ ფრჩხილებში ყოველთვის ვიძლევიტ სავარაუდოდ აღდგენილ საერთოქართველურ ან ქართულ-ზანურ ფორმასაც.

აღიანი, ნათესაობა

1. ეტრ. *teta* „დიდედა“—ქართ. დედა (←*დედა)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ. ქართული დედა კანონზომიერ შესატყვისობას პოულობს ყველა ქართველურ ენაში და მას აქვს დედის (ქართ. დედა, მეგრ. დიდა, სვან. დი) ან დიდედის (ჭან. დიდა) მნიშვნელობა. ფუძე საერთოქართველურია.

2. ეტრ. nene „ძიძა“—ქართ. ნანა „დედა“ (←*ნანა)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა გარკვეულად მიაჩნია ა. პფიფიგს. ქართ. ნანა კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს მეგრულსა (ნანა) და ჭანურში (ნანა). უდრ. აგრეთვე დიალექტური ნენა/ე²⁵. აღნიშნული ფუძე ძალზე გავრცელებულია როგორც იბერიულ-კავკასიურ, ასევე ინდოევროპულ ენებში.

3. ეტრ. papa(l) „პაპა“, „ბაბუა“—ქართ. პაპა(←*პაპალ)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება თითქმის დადგენილად მივიჩნიოთ. ქართული პაპა შესატყვისობას გვიჩვენებს მეგრ. პაპუ „დიდიპაპა“, ჭან. პაპუ(ლ) „ბაბუა“-ში. აღნიშნულ ფუძეს პარალელები აქვს ინდოევროპულ ენებშიც.

4. ეტრ. clan „ვაჟიშვილი“—ქართ. qle „penis“ (←*qle)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა უკვე დიდი ხანია დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს; იგი აღნიშნავს მამრობითი სქესის შვილსძეს. მისი შეპირისპირება penis-ის მნიშვნელობის მქონე ქართველურ ფუძეებთან (ქართ. qle, მეგრ. ოლე, ჭან. qole, kōle, სვან. qlaw) რეალური ჩანს. სვანურში ყლავ-ს აქვს მამრობითი სქესის ბავშვის მნიშვნელობა. ფუძე აღდგება საერთოქართველური დონისათვის.

5. ეტრ. cver „ბიჭი“—ქართ. qwer-„testiculum“ (*←qwer-)

ეტრუსკული სიტყვის ახალ მნიშვნელობას გვთავაზობს ა. პფიფიგი. ქართ. qwer-„testiculum“ ფუძე აღის საერთო ქართველურ დონემდე (მეგრ. ‘waž-; ჭან. qwaž; სვან. qurna(j)). ეს შეპირისპირება უფრო რეალური მოგვეჩვენება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეტრუსკული სიტყვა ორ შემთხვევაში დაკავშირებულია ფალოსის გამოსახულებასთან²⁶.

6. ეტრ. *cvil „ბავშვი“ „პირმშო“—ქართ. ჩჩვილ- (← *ჩჩვილ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა, თუკი იგი არ წარმოადგენს cver-ის ფონეტიკურ სახესხვაობას, შეგვიძლია აღვადგინოთ

ისეთი ფორმიდან, როგორცაა *tinšvil* ²⁷, რომელიც ა. პფიფიგის აზრით²⁸, ბერძნ. *Dioskurē*-ს ეტრუსკული თარგმანი უნდა იყოს. ე. შტრნაღს უნდა, იგი დააკავშიროს ქართულ შვილ-თან²⁹. შესატყვისობა ეტრ. *c/ქართ.* შ ჩვენ არ გვეჩვენება დამაჯერებლად. ვფიქრობთ, თუკი ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა სწორად არის დადგენილი, უმჯობესი იქნებოდა მისი ქართულ-ზანსურ ოდენობამდე ამაველ ჩჩვილ- ფუძესთან დაკავშირება (ქართ. ჩჩვილ-, მეგრ. ჩქიჩქუ, ჭან. ჩიჩქუ, ჩუჩქუ). თავის მხრივ ეს ფუძე აღის, როგორც ჩანს, საერთოქართველურ *ჩჩვ- „დარბილება“ (ქართ. ჩჩვ-, მეგრ. ჩქიჩქარ-, სვან. [შგვ-]) ძირამდე. ოცნ-ს გამარტივება ოცნ-დ დამახასიათებელია უკვე ქართულისათვის. ეტრუსკულში სიტყვის თავში *cc* არ არის მოსალოდნელი, იგი უთუოდ მოგვეცემა მარტივ *c*-ს.

7. ეტრ. *sex; sec* „შვილი“, „ქალიშვილი“—ქართ. შვ-„შობა“, „დაბადება“ (←*შვ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ქართულ ფუძეს აქვს კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში: მეგრ. სქუ-ალ-ა „კვერცხის დადება“, ჭან. სქ-ირ-ი „შვილი“, სვან სგეჲ, გმსგე „შვილი“. დასავლურ-ქართველური ტიპის სქ-ს შემცველი ფუძიდან ეტრუსკული *sex/sec*-ის მიღება არ უნდა იყოს დაბრკოლებებთან დაკავშირებული.

8. ეტრ. **huś* „ვაჟიშვილი“. „შვილი“, „ჭაბუკი“—ქართ. ხუცეს- (*←ხუც1ე)

ეტრუსკული სიტყვის ამ ფორმას აღადგენენ, ჩვეულებრივ, მრავლობითის *huśur*-იდან. როგორც ჩანს, შვილის თუ ვაჟიშვილის აღსანიშნავად გამოყენებულ მრავალრიცხოვან ტერმინთა შორის (*clan, cver, cvil*) მას გარკვეული შინაარსობრივი ნიუანსი ჰქონდა. იგი, როგორც ფიქრობენ, გამოიყენებოდა უფროსი ასაკის ბავშვის, ჭაბუკის, ახალგაზრდის აღსანიშნავად, ამაზე მიუთითებს ეტრუსკული *huzrnatre*-ს „ახალგაზრდათა, ჭაბუკთა კოლეგია“-დ „*collegio della iuventus*“ ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც³⁰. შესაბამისად,

არ არის გამორიცხული, რომ ეტრუსკული სიტყვა შეიცავდა „უფროსის“ „უფრო დიდის“ გაგებას. ქართული ფუძე ხუცეს-თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით სწორედ შედარებითი ხარისხიდან უნდა იყოს მიღებული და, როგორც ჩანს, მას ჰქონდა „უფრო დიდის, უფროსის“ გაგება. ფუძეს აქვს კანონზომიერი შესატყვისობები ყველა ქართველურ ენაში (მეგ.-ჭან. უჩაში „უფროსი“, სვან. ხოშა „უფროსი, დიდი“).

სიცოცხლე, სიკვდილი

9. ეტრ. sval- „ცხოვრება“ — ქართ. სულ- (←*s₁ულ-)

ეტრუსკული სიტყვის — ზმნური ფუძის მნიშვნელობა სრულიად უეჭველად შეიძლება მივიჩნიოთ დადგენილად. ქართველური ფუძე, რომელშიც გამოიყოფა სუ- ძირი, იმის მიხედვით, თუ გახმოვანების როგორ საფეხურზე მყოფი სუფიქსალური ელემენტით წარმოგვიდგება, სხვადასხვა ქართველურ ენასა თუ ერთი და იგივე ენის ფარგლებში, გვაძლევს ნულოვანი ან ნორმალური გახმოვანების მქონე ფუძის ვარიანტებს³¹. მაგ., ერთის მხრივ, ქართ. სულ-, მეგრ.-ჭან. შუ-რ* < შუ-ლ და, მეორე მხრივ, სვან. შტჷრ „ამოოხვრის ხმა, სულის ამოღება“. იგივე ძირის დერივატია ქართ. სტჷ-ენ თავისი ზანური შვან „სული მოვითქვი“ და სვან. შტჷ-ემ/შტჷ-ამ > შომ „დასვენება“ შესატყვისობებით. ეტრუსკულ სიტყვაში სწორედ „სულის“ მნიშვნელობის მქონე ფუძის გამოყოფის შესაძლებლობაზე უნდა მიუთითებდეს ეტრ. svela, რომელიც საერთოდ „სულიერს“ აღნიშნავს.

10. ეტრ. ziv- „ცხოვრება“ — ქართ. ძოვ-ა (←*d₁ოვ-)

ეტრუსკული სიტყვის — ზმნური ფუძის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. ე. შტრნაღის აზრით³², შესაძლებელია მისი დაკავშირება ქართულ ცხოვ(რება)-სთან. ვფიქრობთ, უფრო გამართლებულია მისი ქართ. ძოვ-თან დაკავშირება. ფუძე ადის ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (შდრ. ჭან. (ნ)ჯ(ვ)-, მჯ(ვ)-).

11. ეტრ. calu „მკვდართა ღმერთი“—ქართ. კალ-/კლ- „მოკვლა“

ეტრუსკულ ენაში calu-დან ნაწარმოებია calus „კალუსი“, ანუ „მკვდარი“ და calusur „კალუსები“, ანუ „მკვდრები“. შესაძლოა, მასთანვე იყოს კავშირში cala, თუკი იგი მართლაც სამსხვერპლო ცხოველს, ანუ „საკლავს“ აღნიშნავს. ქართული ფუძე ძალზე არქაული და ორგანული ჩანს ქართველური სამყაროსათვის. იგი უკვე ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება. ხომ არ აქვს მას კავშირი ქართულ-ზანურ *კალ-„დაკლება“, „კლება“ ფუძესთან?

12. ეტრ. lein- „სიკვდილი“, „მოკვდომა“—ქართ. ლევ-ა

ეტრუსკული სიტყვის — ზმნური ფუძის მნიშვნელობა დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული ფუძე ძალზე არქაული ჩანს. იგი უკვე ძველ ქართულ ტექსტებში გვხვდება მრავალრიცხოვან ფორმებში: აღლევა, განლევა, განმლეველი, განულეველი, დალევა, დაულევნელად, მოლევა. მას, როგორც ჩანს, აქვს ოდენობის თუ ხარისხის დაკლების, გაქრობის მნიშვნელობა.

13. ეტრ. lupu „სიკვდილი“—ქართ. ლპ-ობ-ა

ეტრუსკული სიტყვის — ზმნური ფუძის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ქართული ლპ- ძირი, როგორც ჩანს, წარმოადგენს ქართულ-ზანური *ლპ-ს „დაღობა“ ვარიანტს. მასში, როგორც გვიჩვენებს ლაფ-ი, ლოპრ-ი, ლუ(მ)პ-ვა და სხვ. ფორმები, შეიძლება გვექონდეს სხვადასხვა — ა, ო, უ გახმოვანების საფეხურები.

წელიწადი, ღღე, მნათობები

14. ეტრ. avil „წელი“, „წელიწადი“—ქართ. ვალ-/ვლ- (←*ვლ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა არ იწვევს ეჭვს. ქართული ფუძე ვლ-/ვალ- ძალზე არქაული და ორგანული ჩანს ქართველური სამყაროსათვის. ფუძე აღდგება ქართულ-ზანური ერთიანო-

ბის დონემდე (მეგრ.-ჭან. ულ-, ურ-). ძველ ქართულში გვხვდება მისგან ნაწარმოები მრავალრიცხოვანი ფუძეები და ტერმინები. ქართველურ ფუძეს აქვს სვლის, დინების მნიშვნელობა. თუკი სწორია ის დაკვირვება, რომ ეტრუსკული სახელი ზმნური ფუძიდან არის წარმოქმნილი, მაშინ სემანტიკური თვალსაზრისით არ არის შეუძლებელი ცნების „წელიწადი“ დაკავშირება „სვლის“ „დინების“ მნიშვნელობასთან.

15. ეტრ. ril „ასაკში“—ქართ. რ- „ყოფნა“ (←*რ-)

ეტრუსკული ფორმის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ფიქრობენ, ეტრუსკული ril წარმოადგენს ზედსართავს, რომელსაც აქვს გაგება „ასაკში“. ეტრუსკული ტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ril, როგორც წესი, გამოიყენება ასაკის აღმნიშვნელ რიცხვთან დამოუკიდებლად, როგორც სინონიმი avil-ისა—„წლის“, ან უფრო იშვიათად avils—თან ერთად. შდრ. TLE 394 rav. velani. ar. ril. XLII. leine და TLE 176¹ nerinai. ravნა. avils ril. LIIX. at [i?.] cravza-ჭურას. ვფიქრობთ, ეტრუსკულ ტექსტთა ანალიზი იძლევა საინტერესო მასალას აღნიშნული ფუძის დაკავშირებისათვის მნიშვნელობასთან „მყოფი“. ამაზე ჯერ ერთი შეუძლია მიგვითითოს ril-ში -il დაბოლოებამ, რომელიც გვიჩვენებს ზმნური ფუძეებიდან მიმდებარის მაწარმოებელ-il სუფიქსთან მიმართებას. მეორეც, თვით ril-ის პოზიციამ ეტრუსკულ წინადადებაში. ril, როგორც წესი, წინადადებაში დაისმის ასაკის აღმნიშვნელი რიცხვის წინ. მათ შორის არასოდეს არ დასტურდება სხვა სიტყვა. ეს სრულიად ბუნებრივია, როდესაც წინადადებაში არ არის ფორმა avils „წლის“, მაგრამ სრულიად გაუგებარია, როდესაც წინადადებაში გვხვდება ასეთი მიმდებარობა; avils ril LIIX. მართლაც, თუკი ril შეიცავს იგივე გაგებას, რასაც ქართული „ასაკში“, რუსული «в возрасте», გერმანული «alt», მაშინ წინადადების აგების ლოგიკის თვალსაზრისით ძალზე ძნელია იმის დაშვება, რომ ril შეიძლება დაისვას avils-სა და რიცხვს შორის, ანუ გვქონდეს ამგვარი კონსტრუქცია „წლის ასაკში 58“ (лет в возрасте 58, Jahre alt 58, annos natus 58 და ა. შ.). მაგრამ, თუკი ril-ს დავუკავშირებთ მნიშვნელობას „მყოფი“,

ეტრუსკული კონსტრუქცია უფრო გასაგები გახდება: „წლისა მყოფი 58-ისა“ (лет будучи 58 და ა. შ.). ამ შემთხვევაში არ გამოიწვევდა გაუგებრობას არც ის, თუ ეტრუსკულ წარწერას ავტორი avils-ის გარეშე დაწერდა: ril LIIIX „მყოფი 58-ისა“ (будучи 58). ქართული რ-„ყოფნა“ საერთოქართველურ დონემდე აიყვანება (შდრ. მეგრ. ვორეჟ, ჭან. ვორე, სვან. ხუჯარი).

16. ეტრ. tin „დღე“—ქართ. თენ- „თენება“ (←*თენ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ქართ. თენ-ფუძის, რომელიც საერთოქართველურ დონემდე აიყვანება (მეგრ.-ჭან. თან-, სვან. თენ-/თნ-), ეტრუსკულთან დაკავშირება სრულიად რეალური ჩანს. ამ შესაძლებლობას კიდევ უფრო ამყარებს ეტრუსკული სახელის „დილა“ ანალიზი.

17. ეტრ. tisan „დილა“—ქართ. თენ-ებ-ა (←*თენება)

[ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა დადგენილად შეიძლება ჩათვალოს. როგორც ჩანს, მასში გამოიყოფა tin- ძირის სახესხვაობა te-/მე-, ისევე, როგორც ქართულში ძირი *თე „სინათლე“ უდევს საფუძვლად მისგან ნაწარმოებ დღის, გათენების, სითეთრის აღმნიშვნელ მრავალრიცხოვან ტერმინებს, მათ შორის თენ-საც.

18. ეტრ. tiv, tiu „მთვარე“—ქართ. თთუე „მთვარე“ (←*ლუ-(ს₁) თე) ან ქართ. *თე „სინათლე“ (←*თე)

თუ ეტრუსკული ტერმინი, რომლის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს, ნაწარმოებია იგივე ti- ძირისაგან, მაშინ მისი შეპირისპირება შესაძლებელია *თე ქართველურ ფუძესთან. თუკი იგი წარმოადგენს ttiv, ttiu ფორმათა გამარტივებულ ვარიანტს, მაშინ უფრო რეალური იქნებოდა მისი შეპირისპირება ქართ. თვთე/თთუე/თუესთან, რომელიც საერთოქართველურ დონემდე აიყვანება (მეგრ.-ჭან. თუთა, სვან. დოშდულ). ამ შემთხვევაში ეტრუსკული მეტ სიახლოვეს გამოამჟღავნებს არა სავარაუდო საერთოქართველურ ღუს₁თესთან, არამედ ქართულ-ზანურ *თჳთე-სთან. აქვე საინტერესოა

ეგვიპტური ღვთაების თოთის, ალბათ ღმერთ-მთავრის, სახელწოდების გათვალისწინებაც³³.

კეთება, აგება, დაღვმა, დასმა

19. ეტრ. ac- „კეთება“, „მიგება“, „მსხვერპლის შეწირვა“—
ქართ. გ- „აგება“, „გება“ (←*გ-)

ეტრუსკული ფორმის მნიშვნელობა შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ. ქართ. გ- ძირი, რომელიც საერთოქართველურ დონემდე აღის (მეგრ.-ჭან. გ-: სვან. გ-), აწარმოებს საკმაოდ მრავალრიცხოვან ფუძეებსა და ტერმინებს: გება „აშენება“, გება „დგომა“, გება „მიზღვა“, გება „შეწირვა“ და ა. შ. საინტერესოა უშემერული პარალელი აგ — „კეთება“, „შენება“³⁴.

20. ეტრ. car- „შენება“, „აგება“, „კეთება“—ქართ. კარ-/კრ-
„შეკვრა“ (←კარ-/კრ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ქართ. ფუძეს კარ-/კრ-, რომელიც ქართულ-ზანთურ დონემდე აღის (შდრ. მეგრ.-ჭან. კორ-/კირ-), საკმაოდ ფართო მნიშვნელობა აქვს.

21. ეტრ. ces- „დაღება“, „დაწვენა“, „წოლა“—ქართ. კეც-
„კეცვა“, „დაკეცვა“ (←*კეც₁-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ქართ. ფუძე კეც- ქართულ-ზანთურ დონემდე აღის (მეგრ. კეჩ-, კიჩ-) და საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ძველქართულ წერილობით წყაროებში.

22. ეტრ. *te- „დაღება“, „დაღვმა“—ქართ. დ(ვ)-/ღევ-„დაღება“
(←*დ(ვ)-)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ—იგი აღდგება ზმნური tece ფორმიდან. ქართული ფუძე აღის საერთოქართველურ დონემდე (მეგრ.-ჭან. დ(ვ)-; სვან. დ-)

23. ეტრ. **am-* „აგება“, „აღმართვა“, „დადგმა“—ქართ. **დგამ-/*დგმ-„დადგმა“* (←**დგამ-/*დგმ-*)

ეტრუსკული ზმნური ფუძის, რომელიც აღდგება ზმნური *amce* ფორმიდან, მნიშვნელობა შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ. ქართ. *დგამ-/დგმ-* აღის საერთოქართველურ დონემდე (მეგრ.-ჭან. *დგუმ-/დგიმ/*; სვან. *გემ-/გმ-*). ეტრუსკულ გრაფიკაში *d*, როგორც წესი, გადმოიცემა -*m*- ან -*t*-თი, ხოლო -*g*- გადმოიცემა -*c*- ან -*χ*-თი. შესაბამისად სავსებით დასაშვებია *dg*→*მχ*→*მ* განვითარება.

24. ეტრ. *sut-* „ჯღომა“—ქართ. *ჯედ-/ ჯდ- „ჯღომა“*

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ. შესაძლოა მასთანვე იყოს კავშირში ეტრ. *sumi/suti* „საფლავი“ და *sat-* „ჯღომა“ (?). ქართული ფუძე ძალზე არქაული და ორგანული ჩანს ქართველური ენობრივი სამყაროსათვის. იგი გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში.

25. ეტრ. *sc-*, *scu-* (*scu-*, *scuv-*, *esx-*, *escu-*) „დადგმა“, „შეწირვა“, „განშორება“, „დასმა“—ქართ. *სხ-* „დასხმა“, „სხმა“ (←**ს₁ხ-*)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა მიახლოებით არის განსაზღვრული. ქართული *სხ-* აღის ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ. *შხ-*). ის უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში აწარმოებს ზმნურ ფუძეებს „ჯღომის“, „დგომის“, „გარეკვის“, „სხმის“ და ა. შ. მნიშვნელობით.

ფლობა, ყოლა, გაჩენა

26. ეტრ. *feli* „სამფლობელო“—ქართ. *ფალ-/ფლ-* „ფლობა“

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა სავარაუდოა. მას ე. შტრნა-დი³⁵ უკავშირებს ქართულ ველს. ვფიქრობთ, უფრო რეალურია მისი დაკავშირება ქართულ *ფალ-/ფლ-* ფუძესთან, რომელიც ქართვე-

ლური ენობრივი სამყაროსათვის მეტად არქაული და ორგანული ჩანს.

27. ეტრ. *cil- „გაჩენა“—ქართ. ჩინ-/ჩენ- „(გა)ჩენა“ (←*ჩინ-)

ეტრუსკულ ზმნურ ფუძეს და მის მნიშვნელობას აღადგენენ ფორმებიდან *cilens* „genetrix“ და *cilθ* „ხალხი“, „ერი“. ქართული ფუძე აღის ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგ.-ჭან. ჩქინ-).

28. ეტრ. acn- „ყოლა“—ქართ. ყვან- (←*ყვან-)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა შეიძლება დადგინდეს ეტრუსკულში ხშირად განმეორებადი საფლავის წარწერებში დადასტურებული ფორმულით, რომელშიც მითითებულია გარდაცვლილის შეილთა რაოდენობა და შემდეგ მოცემულია აღნიშნული ზმნური ფუძიდან ნაწარმოები ესა თუ ის ფორმა. ქართული ფუძე, რომელიც ქართულ-ზანურ ერთიანობამდე აღის (მეგრ. ყონ-/ყონ-), თავის მხრივ, აღდგება საერთო ქართველურ *ყა-„ყოლა“, „წყვანა“ (ქართ. ყავ-; მეგრ.-ჭან. ყო-/ყო; სვან. ყ(ა)-) დონემდე. ამგვარი შეპირისპირება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეგუშვათ, თუ ეტრუსკული ფორმა, თავის მხრივ, მიღებული არ არის *ac-*„კეთება“ ზმნური ფუძიდან³⁶.

33ა, სკაულტო ნივთები

29. ეტრ. luθ „ქვა“—ქართ. ლოდ- „ლოდი“

ეტრუსკული და ქართული ფორმების დაკავშირება ეკუთვნის ე. შტრნაღს³⁷.

30. ეტრ. tul „ქვა“—ქართ. თალ-/თლ- „თლა“ (←*თალ-)

ეტრუსკული ფორმის მნიშვნელობა კავშირშია *tular-*თან „სასაზღვრო ქვები“ და, ჩანს, ეს სიტყვა შეიცავდა თლილი ქვის გავებას. ქართული ფუძე აღის ქართულ-ზანურ დონემდე (მეგრ. თოლ-).

31. ეტრ. sul- „მსხვერპლშეწირვისას გამოყენებული სიტხე“—
ქართ. სველ- „სველი“ (←*სველ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული ფუძე ადის ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ.-ჭან. შოლ-).

სვინება, უზრება

32. ეტრ. san- „განსვენება“,—ქართ. სვენ- „სვენება“ (←*სვენ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუმცა მას რიგ კონტექსტში აშკარად სწორედ მიცვალებულის, განსვენებულის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ქართული ფუძე ადის საერთოქართველურ დონემდე (მეგრ.-ჭან. შვან- „ამოსუნთქვა“, სვან. შვემ-/შვმ- „დასვენება“) და იგი აწარმოებს უკვე ძველ ქართულში ტერმინებს, რომელთაც აქვთ დაკრძალვის, მიცვალებულის მნიშვნელობა: დასუენება, განსუენება, განსუენებული და ა. შ.

33. ეტრ. tva, *tuv- „ჩვენება“—ქართ. თვალ- (←*თვალ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული ფუძე ადის საერთოქართველურ დონემდე (მეგრ.-ჭან. თოლ-, სვან. თე-/თერ-).

ნაცვალსახელები

34. ეტრ. mi, mini (me, mene და ა. შ.) „მე“—ქართ. მე, მენა (←*მე(ნ))

mi და mini პარალელური ფორმების არსებობა ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია ბრალდებითი ბრუნვის კვალის დამადასტურებლად ეტრუსკულში³⁸, თუმცა მეორენი ვარაუდობენ, რომ აქ საქმე გვაქვს პარალელურ ფორმებთან, რომელთაც არა აქვთ წინადადებებში განსხვავებული სინტაქსური ფუნქცია³⁹. ქართული მე, მენა, რომე-

ლიც საერთოქართველურ დონემდე აღის (მეგრ.-ჭან. მა(ნ), სვან მი-), გვიჩვენებს ამგვარ პარალელურ ფორმათა არსებობის შესაძლებლობას.

85. ეტრ. ca, eca, ica „ეს“—ქართ. ე-გ, ი-გ-ი (←*ეგ)

ეტრუსკული ჩვენებითი ნაცვალსახელი ფუძის წინ გვიჩვენებს e ან i ხმოვნებს ან Ø-ს. ქართული ე-გ აღის საერთოქართველურ დონემდე (სვან. ეჟ). იგი რთულ ფუძეს წარმოადგენს და შედგება ორი ჩვენებითი ნაცვალსახელური ფუძისაგან ე- და გ-. ე-ფუძე შეიძლება შეცვალოს -ი ფუძემ და მაშინ ნაცვალსახელი მიიღებს ი-გ-ი ფორმას. როგორც ეტრუსკულში, ისე ქართველურში გამოიყოფა შესაბამისი c- და g- ფუძეები. ვფიქრობთ, ეტრუსკული e- და i- ნაცვალსახელის წინ ასევე მიმართებაში უნდა იყოს ქართველურ ე- და ი- ნაცვალსახელურ ფუძეებთან.

86. ეტრ. ta, ita „ეს“—მეგრ. თი, თე „ის“

ეტრუსკული ჩვენებითი ნაცვალსახელი, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ირთავს ხოლმე წინ i-(მაგ. ita) და e-(მაგ. eta) ხმოვნებს. მეგრულში შემონახული ფუძე თე/თი ასევე შეიძლება წარმოგვიდგეს გავრცობილად ნაცვალსახელური ფუძით ა- და ე-: ათე, ეთი-(ნა)⁴⁰ და ა. შ.

87. ეტრ. in ნაცვალსახელური ნაწილაკი—მეგრ. -ნა ნაცვალსახელური ნაწილაკი

ეტრუსკული ნაცვალსახელური ნაწილაკის გამოყოფა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. მეგრულში დადასტურებული -ნა ნაწილაკი, როგორც წესი, გვხვდება თი და თე ნაცვალსახელურ ფუძეებთან: თინა, თენა, „ეს, ის“, რომელნიც, თავის მხრივ, წარმოგვიდგებიან შეკვეცილი ინა და ენა ფორმებითაც⁴¹. ვფიქრობთ, ეტრუსკულში დადასტურებული itun, itan, tn ჩვენებითი ნაცვალსახელებიც შეიძლება ორი ნაცვალსახელური ელემენტის გაერთიანებად წარმოვიდგინოთ. მაშინ ჩვენი დაკავშირება

კიდევ უფრო რეალური ხდება. შდრ. აგრეთვე ურარტული ჩვენებითი ნაცვალსახელი ini „ეს“⁴².

რიცხვითი სახელები

ეტრუსკული რიცხვითი სახელების აღმნიშვნელი ტერმინები ერთიდან ექვსამდე: *მა, zai, ci, sa, maχ, huθ* ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ იდენტიფიცირებული, უეჭველად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ *ci* „სამი“.

38. ეტრ. *ci* „სამი“ — ქართ. სამ-ი (იბ. კავკ. *x- ან *m)

ეტრუსკული *ci*-ში დასაშვებია მონაცვლეობა *c/χ*. ა. მ. *χis* „სამად გაყოფა“ (?) მისი დაკავშირება შეიძლებოდა სავარაუდოდ საერთო-კავკასიურ *ხ—„სამი“ ფუძესთან. შდრ. აბხ. *хпа, хθы*, დარგ. *xIθn-a-π*, უდ. *xH-n* და ა. შ. აღნიშნული ძირი -*x* ან *m*-, მეცნიერთა უმეტესობის აზრით, გვიჩვენებს კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს მრავალ კავკასიურ ენაში (*x, s, š*), მათ შორის ქართველურ *სამ-შიც⁴³.

39. ეტრ. *მა* „ერთი“ — ქართ. თითო, თუთო

ეტრუსკული რიცხვითი სახელის მნიშვნელობა მკვლევართა დიდ ნაწილს დადგენილად მიაჩნია. ქართული თითო, თუთო, რომელიც, ალბათ, ადის ქართულ თავ-ი (მეგრ. თი-; სვან. შდა-) ფუძემდე, უკვე უძველეს ქართულ ტექსტებში გვხვდება და საკმაოდ არქაული ჩანს. შესაძლოა მასთანვე იყოს კავშირში ქართული თითი. თავ- ფუძიდან თვ/თუ-ს მიღება ქართველურისათვის ბუნებრივი ჩანს. შდრ. სა-ს-თუ-ნ-ალ-ი თვისი⁴⁴ და ა. შ.

40. ეტრ. *zai* „ორი“ — ქართ. ცალ- (←*ცა-)

ეტრუსკული რიცხვითი სახელის ამგვარ მნიშვნელობას მკვლევართა დიდი ნაწილი უჭერს მხარს. ქართულ ცალ-ს, რომელიც აღდგება ქართულ-ზანურ დონემდე (მეგრ. ცალ-) და გვხვდება უკვე

უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში, ჰქონდა როგორც „ერთის“, ასევე „ორის ტოლისგან ერთის“⁴⁵ მნიშვნელობა.

**41. ეტრ. ხუმ „ოთხი, ხუთი, ან ექვსი“—ქართ. ხუთ-
(←*ხუ (ს₁) თ-)**

ეტრუსკული რიცხვითი სახელის მნიშვნელობა არ არის საბოლოოდ დადგენილი. ქართული ხუთ-ი ადის საერთოქართველურ დონემდე (მეგრ.-ჭან. ხუთ-, სვან. ვოხუშღ).

სხვადასხვა

**42. ეტრ. cam „მზე“, „მზის ღმერთი—კათი“—ქართ. ქათ-,
ქათქათი**

ეტრუსკული ტერმინის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული ქათქათი „თეთრი“ აშკარად რედუბლიცირებულ ფუძეს წარმოადგენს ქათ- ძირიდან. ხომ არ უნდა განვიხილოთ ამავე რიგში ფუძეები: კაშკაში, ლაქლაყი, ხაშ-ხაში?

43. ეტრ. had „მოწყალებ ყოფნა“, „მოხედვა“—ქართ. ხედ-ვა

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა დაახლოებით არის განსაზღვრული. ქართული ფუძე ხედ- მეტად არქაული ჩანს. მას უკვე ძველ ქართულში აქვს საკმაოდ ფართო მნიშვნელობა, მათ შორის „გულისხმის-ყოფის“, „მოხედვის“.

**44. ეტრ. men- „მიცემა“, „დატოვება“—ქართ. მცნ-/მცენ- „ანდერ-
ძის დატოვება“, „დაბარება“ (←მც₁ნ-)**

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული ფუძე აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ. ჩინ-, ჭან. მჩინ-). ფუძე დადასტურებულია უძველეს ქართულ ტერმინში მცნება. ეტრუსკულში ms კომპლექსი სიტყვის ანლაუტში არ არის მოსალოდნელი, იგი უნდა გამარტივებულიყო.

45. ეტრ. neš „მიცვალეზული“, „დაკრძალული“—ქართ. ნეშტ-

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა მეცნიერთა უმეტესობას ამგვარად აქვს გაგებული. ქართული ნეშტი თავისი სტრუქტურით საკმაოდ არქაულია.

46. ეტრ. puშ- „დაღმა“, „დაყენება“, „დასმა“—ქართ. ბაღ-ეზ-ა

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობა, რომელიც გვხვდება *pute* ფორმიდან, ამგვარად აქვს განსაზღვრული ა. პფიფიგს. ქართ. ფუძე საკმაოდ არქაული ჩანს და იგი ფართოდ არის გავრცელებული უკვე ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში. ხომ არ არის იგი კავშირში ქართ. ბუღე-სთან (მეგრ. ბუღე, სვან. ბიდ-/ბუღ-)?

47. ეტრ. *raშ „წესრიგი“—ქართ. რთვ- „რთვა“ (←*რთვ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა ამგვარად აქვს განსაზღვრული ა. პფიფიგს. იგი აღდგება *raშიu* „მოწესრიგებული, ჩვეულებრივი, შემკული“ ფორმიდან. ქართული ფუძე აღის ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ.-ჭან. (რ)თ (ვ) —). ფუძეს უკვე ძველ ქართულში აქვს საკმაოდ ფართო მნიშვნელობა, მათ შორის, „შეკრების“, „დახურვის“, „მორთვის“ და ა. შ.

48. ეტრ. raχ- „აღება“, „მონაღება“, „შეგროვება“ (?)—ქართ. რაცხ- „რაცხვა“ (←*რაცხ-)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფიფიგი. ქართ. ფუძე აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ. კო-როცხ-, ჭან. კო-(რ)ოცხ-, კო-რაცხ-). ეტრუსკულში *sχ* კომპლექსის გამარტივება იყო მოსალოდნელი აუსლაუტში.

49. ეტრ. *rep- „სწრაფვა“—ქართ. რბ-ენ-ა

ეტრ. ზმნური ფუძის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფიფიგი. ქართ. ფუძე საკმაოდ არქაული ჩანს და ფართოდ გამოიყენება ძველი მწერლობის ძეგლებში. ხომ არ შეიძლება დაგვეკავშირებინა ეტრუსკულ ფუძესთან (ს)წრაფ(ვ)ა ქართველური, ასევე მეტად არქაული ფუძე?

50. ეტრ. *šac- „მიძღვნა“, „მიცემა“, „შეწირვა“—ქართ. ციქუ-
„ციქუა“, „მოციქული“ (←*ციქუ-)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფი-
ფიგი. ქართ. ფუძე, რომელსაც აქვს „გაგზავნის“ მნიშვნელობა, აღ-
დგება ქართულ-ზანური ერთიანობის ღონემდე (მეგრ.-ჭან. ჩქ(ვ)-
შქ(ვ)-).

51. ეტრ. sal- „მოტანა, „მიცემა“, „შეწირვა“—ქართ. ძლ-ევ-ა
„მიცემა“.

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფი-
ფიგი. ქართული ფუძე საკმაოდ არქაული ჩანს. მას აქვს სხვა მრავ-
ალრიცხოვან მნიშვნელობასთან ერთად „მიცემის“ მნიშვნელობაც.
უკვე უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში.

52. ეტრ. *sen „ხსოვნა“—ქართ. ხსენ-„გახსენება“ (←*ჯსინ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფიფიგი.
ქართული ფუძე აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის ღონემდე
(მეგრ.-ჭან. შინ-). თავკიდური ქართველური კ-ს დაკარგვის საფუძ-
ველი უკვე მეგრულ-ჭანურში არსებობდა.

53. ეტრ. šin- „აღება“, „მიღება“—ქართ. ძენ-/ძინ- „შეძენა“
„მიმატება“ (*←ძინ-)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფი-
ფიგი. შესაძლოა მასთანვე იყოს კავშირში მიორე ეტრუსკული ზმნური
ფუძე zin-(←zin-ak-u, zin-ac-e), რომელსაც აქვს, ალბათ, „მიცე-
მის“, „დამზადების“ ან სხვა მსგავსი მნიშვნელობა. ქართული ფუძე
აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის ღონემდე (მეგრ.-ჭან. ძინ-).

54. ეტრ. spela „საფლავი“—ქართ. ფალ-/ფლ- „ფლვა“
(←*ფალ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა საკმაოდ საიმედოდ არის
დადგენილი. ე. შტრნალს⁴⁶ მასთან სურს დააკავშიროს ქართული
საფლავი. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა მასთან ქართული ფალ-/
28

ფლ- ფუძის დაკავშირება, რომელიც ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე აღის (მეგრ. ფულ-, ჭან. მფულ-). ეტრუსკულში სიტყვის თავში s შეიძლება ეგეოსურ ენათათვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე განვითარებულიყო⁴⁷. ხომ არ არის მასთანვე კავშირში ბერძნული *σπίλαισον* „გამოქვაბული“ , რომელსაც არ აქვს საიმედო ეტიმოლოგია⁴⁸?

55. ეტრ. *spura* „ქალაქი“—ქართ. ფარ- „ფარვა“ (←*ფარ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა საკმაოდ საიმედოდ არის დადგენილი. ქართული ფუძე აღდგება საერთოქართველურ დონემდე (მეგრ. ფორ-, სვან. ფარ-/ფრ-). როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს უძველეს მედიტერანულ ფუძესთან, რომელიც თავს იჩენს მრავალ ძველ ენაში: შუმერული *bar* „სახლი“, ეგვიპტური *pr* „სახლი“, ხეთური *parn-*, *pir* „სახლი“, ლუვ. *parna* „სახლი“, ლიდ. *bira* „სახლი“, ბერძნული *βάρη* „სასახლე, დიდი სახლი“, *Παργασ(σ)ός*⁴⁹. ვფიქრობთ, ეტრუსკულში წინამდებელი s განვითარებულია⁵⁰. ქართულ ფარ- ფუძეს აქვს საკმაოდ ფართო გამოყენება: ფარი, საფარი და ა. შ. თუკი გავითვალისწინებთ ეტრუსკულ ქალაქთა თავისებურებას—ისინი პირველ რიგში იყვნენ გამაგრებული დასახლებული პუნქტები, მაშინ ეტრუსკული სიტყვის ქართ. ფარ- ფუძესთან შეპირისპირება საკმაოდ რეალური ჩანს. ხომ არ შეიძლებოდა აქვე განგვეხილა ქართ. ბურ- „ბურვა“, რომელიც ასევე საერთოქართველურ დონემდე აღდგება (მეგრ.-ჭან. ბურ-, სვან. ბურ-)?

56. ეტრ. *sren* „სურათი“, „სამკაული“—ქართ. წერ- „წერა“ (←*წერ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ. ე. შტრნადი⁵¹ მას უკავშირებს ქართულ „სურათს“ არაბული *sūratum* წყაროს მითითებით. ვფიქრობთ, ამგვარი დაკავშირება არ არის რეალური. თუკი ეტრუსკულ ფორმაში გამოვყოფთ *sr-* ძირს და *-en* სუფიქსალურ ელემენტს, რომელიც საკმაოდ პროდუქტიულია ეტრუსკულ სიტყვათწარმოებაში, მაშინ ეტრუსკული ძირის კავშირი ქართ. წერ- ფუძესთან, რომელიც აღდგება საერთო-

ქართველურ დონემდე (მეგრ.-ჭან. (ნ) ჭარ-, სვან. (ა)რ-) და რომელსაც თავდაპირველად „გამოსახვის, ნახაზის გამოყვანის, ამოკაწვრის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, არ შეხვედებოდა დაბრკოლებას.

57. სამი „მსხვერპლშეწირვისას გამოყენებული საპკურებელი სიტხე“—ქართ. წვეთ- „წვეთა“ „წვეთი“ (←*წვეთ-)

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობის გარკვევისას მეტნაკლები სიზუსტით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აქ საქმე გვაქვს რაღაც სიტხესთან. ზოგნი მასში რძეს, ზოგნი კი სისხლს ხედავენ (მიმონილვისათვის ა. პფიფიგი). ქართული ფუძე, რომელსაც აქვს სახელური და ზმნური მნიშვნელობა, აღდგება ორ დონეზე: სახელური —საერთო ქართველურზე (მეგრ. ჭვეთ-, ჭვათ-, სვან. ვედ) და ზმნური ქართულ-ზანურზე (მეგრ. ჭვათ-). ქართველური -ვე, -ვა კომპლექსის ეტრუსკულ u-ში გადასვლა სხვა მაგალითებშიც დასტურდება. შდრ. 31, 33.

58. ეტრ. tar „სამსხვერპლო ცხოველი“—ქართ. თრ-/თერ-, დიალექტ. თარ- „თრევა“, (←*თრ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფიფიგი. ქართული ფუძე ადის საერთოქართველურ დონემდე (მეგრ. (ნ)თერ-, (ნ)თირ-, ჭან. თირ-, თორ-, თურ-, სვან. თრ-/თირ-), ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში ამ ფუძით ნაწარმოები ზმნები ხშირად გამოიყენება მსხვერპლის დანიშნულების ადგილისაკენ გადაყვანის აღსანიშნავად.

59. ეტრ. tevarati „მსაჯული“—ქართ. თავ- „თავი“ „მეთაური“ (←*(ს₁) თავ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობისათვის შდრ. ა. პფიფიგი. ეტრუსკულ ტერმინში, ვფიქრობთ, შეიძლება ძირის tev-, სუფიქსალური-ar და -ati ელემენტების გამოყოფა. საინტერესოა, რომ ქართული ფუძე, რომელიც საერთოქართველურ დონემდე აღდგება (ჭან. თი, სვან. შდა, შტა), აწარმოებს ტერმინს მთავ-არ-ი, რომელსაც უძველეს ქართულ ძეგლებში ჰქონდა, სხვათა შორის, „მსაჯულის“

მნიშვნელობაც. ხომ არ უკავშირდება ამავე ეტრუსკულ ფუძეს *tame-ra* „მზრუნველი“ ტერმინიც?

60. ეტრ. *trin-* „მორწყვა“, „პკურება“ (მსხვერპლშეწირვისას)—
ქართ. თრ-/თვერ- „თრობა“, „სმა“, (←*თრ-)

ეტრუსკული ზმნური ფუძის მნიშვნელობისთვის შდრ. ა. პფიფიგი. შესაძლოა მასთანვე იყოს კავშირში *leitrum* „სასმელი“ (?). ქართული ფუძე აღდგება საერთოქართველურ დონემდე (სვან. თრ-). მას აქვს განსაკუთრებით ფართო გამოყენება სვანურში: ლი-თრ-ე „სმა“, ლა-თრ-ა „სასმისი“⁵² და ა. შ.

61. ეტრ. *zil-* „ბატონობა“, „მართვა“—ქართ. ძლ-/ძალ-
„ძლიერი“, „ძალა“

ეტრუსკული ფუძის მნიშვნელობა სავარაუდოდ შეიძლება აღვადგინოთ *zilaθ* „პრეტორი“ ტერმინიდან (შდრ. ა. პფიფიგი). ქართული ფუძე საკმაოდ არქაული ჩანს და იგი უკვე ძველ წერილობით ძეგლებში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც ა, ისე Ø გახმოვანებით: ძლევა, ძალი და ა. შ.

62. ეტრ. *velθa* „მიწა“, „დედამიწა“—ქართ. ველ-
„ველი“ (←*ველ-)

ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა მეტნაკლებად დადგენილია. ქართული ფუძე აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ. ვე(ლ)-).

ჩვენ მიერ განხილული ეტრუსკული სიტყვები შეადგენს იდენტიფიცირებული ე. წ. ძირეული ეტრუსკული ლექსიკის დაახლოებით 60 პროცენტს, მაგრამ შეხვედრები ამით არ ამოიწურება. მათი ხვედრითი წონა მნიშვნელოვანია თვით ამ ენების გრამატიკულ სტრუქტურაში.

გრამატიკული შესწავლებები

ერგატიული კონსტრუქცია. რამდენიმე წლის წინ ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ეტრუსკულ ენაში არსებობდა სუბიექტის ბრუნვა-ერგატივი, რომელსაც ჰქონდა -si/-ḥi დაბოლოება⁵³. აღნიშნული სუფიქსის მქონე ფორმები ეტრუსკოლგთა მიერ, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც ნათესაობითის ვარიანტები, გამოყენებული რიგ შემთხვევებში დატივეური და სხვა ფუნქციით⁵⁴. და მაინც, უკანასკნელ ხანებში ა. პფიფიგი იძულებული იყო ელი-არებინა, რომ რამდენიმე შემთხვევაში ამ ფორმებს შეიძლება მხოლოდ ერგატივის მნიშვნელობა ჰქონდეთ⁵⁵. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ემფატიკური ხმოვნის მიმატების შემდგომ ნათესაობითის ეტრუსკულმა დაბოლოებამ -s მართლაც შეიძლება მიიღოს -si/-ḥi ფორმა⁵⁶. თუმცა მიგვაჩნია, რომ ეტრუსკულში არსებობდა სუბიექტის სპეციალური ბრუნვა—ერგატივი -si/-ḥi დაბოლოებით, რომელიც მხოლოდ ფორმალურად ემთხვეოდა ემფატიკურ ნათესაობითს. შევეხოთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე შემთხვევას. სიტყვა *clan* „შვილი“ ეტრუსკულ წარწერებში გვხვდება როგორც ნათესაობითის *clens*, ასევე ჯერ გაურკვეველი *clensi* ფორმითაც. როგორც ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, ვერც ერთ შემთხვევაში *clensi*-ის ვერ ჩავთვლით ვერც ნათესაობითის და ვერც მიცემითის მნიშვნელობის მქონედ; განვიხილოთ ცალკეული წარწერები:

TLE 651

1) *auleḥi. meteliḥ. ve. vesial. clenḥi*

2) *cen. fleres. tece. sanḥl. tenine*

3) *tuḥneḥ. ḥisvlicḥ*

ეს არის ძვ. წ. ა. II—I საუკუნის წარწერა „Arringatore“-დ წოდებულ სტატუაზე. აღნიშნულ წარწერაში ზმნა უთუოდ *tece* არის,

რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმად, ზმნური ფუძიდან *te* „დადგმა, დადება“ და ა. შ. და ვთარგმნოთ, როგორც „დადგა“. ბუნებრივია, ამის შემდგომ ისმის სუბიექტისა და ობიექტის პრობლემა. ამ შემთხვევაში სახელობით ბრუნვაში დგას მხოლოდ *fleres* „სტატუა“, რომელიც *cen* „ეს“-თან კავშირში უნდა იყოს და ვერაფრით ვერ ჩაითვლება სუბიექტად. რაც შეეხება სხვა ფორმებს, წარწერის არც ერთი არსებითი სახელი არ დგას სახელობით ბრუნვაში: *metelis* ნათ. ბრუნვა მამაკაცის საკუთარი სახელიდან და ითარგმნება როგორც მეტელ-ის, *ve* აბბრევაცია უნდა იყოს პატრონიმიკონ *ve(lus)*-ისა— „ველის“, *vesial* ნათ. ბრუნვა მეტრონიმიკონისა— „ვესიის“, *sansl-* „ალთქმის (დადგენილების) თანახმად“ (?) *tenine* ზმნის *ten*— „დასმა“ „დადგმა“ (*←te*) კაუზატივის აორ. III პ. „დაადგმევინა“, *tudines* „საქალაქო“ „ქალაქის“, *χισυλις* „ხისვილიკის“ (თანამდებობის აღმნიშვნელი ტიტული). დაგვრჩა განვსაზღვროთ *aulesi* და *clensi* ფორმების ფუნქცია და პოზიცია. ის, რომ აღნიშნული ფორმები სინტაქსურად ურთიერთშეთანხმებულნი არიან, დგინდება დაბოლოებათა იდენტურობით. თუკი მ. კრისტოფანის ინტერპრეტაციას მივიღებთ⁵⁷. (*Ad Aulo Metello di Vel e di Vesi figlio. Questa statua pose(?)*), მაშინ ამ ე. წ. მიცემითის ფორმებთან უნდა დავაკავშიროთ *Metelis*-იც, მაგრამ ეს გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის: ა) *metelis*-ი ბოლოვდება *ჭ-ზე* და არა *ჭi-ზე*, ბ) ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში საესებით იკარგება ინფორმაცია სუბიექტის—აღმშენებლის შესახებ, რომელსაც, როგორც წესი, იძლევიან ეტრუსკული და, საერთოდ, ანტიკური საამშენებლო და მემორიალური წარწერები⁵⁸, გ) *tece* უნდა იყოს ზმნის გარდაუვალი ფორმა, რადგან სხვაგვარად ძნელი იქნებოდა *cen fleres* „ეს სტატუა“ ინტერპრეტაცია. ვფიქრობთ, ყველა ეს წინააღმდეგობა იხსნება, თუკი დავუშვებთ, რომ *aulesi* და *clensi* ამ შემთხვევაში ერგატივის ფორმებია, ამგვარი დაშვებისას წარწერა გასაგები ხდება:

1) ავლემ (ერგ.) მეტელის (ნათ.) ველისა (ნათ.) და ვესიის (ნათ.) შვილმა (ერგ.)

2) ეს სტატუა (სახ.) დადგა. ალთქმის (დადგენილების) თანახმად დაადგმევინა.

3) საქალაქო ხისვლიკისა:

ამის შემდგომ განვიხილოთ ზოგიერთი სხვა წარწერა:

TLE 315

1. eca. suθic. velus. ezipus

2. clensi. cerine

საფლავის სტელა ძვ. წ. ა. IV-III საუკუნისა.

eca არის ჩვენებითი ნაცვალსახელის „ეს“ სახელობითი ბრუნვის ფორმა. suθic არის საფლავის სახ. ბრუნვის ფორმა c-„ც“ მაკავშირებელი კოპულით. velus ezipus „ველის ეცპუსა“—ეტრუსკული სახელისა და მამის სახელის ნათესაობითი. cerine ზმნური ფუძიდან cer(←car) „შენება აგება“ ნაწარმოები მესამე პირის (კაუზატ.) ფორმა. clensi ა. პტიფიგის შენიშვნითაც მხოლოდ სახელ. clan-ის „შვილი“ ერგატივის ფორმა უნდა იყოს⁵⁹, რის შემდეგაც წარწერა შეიძლება ასე წავიკითხოთ:

1) ეს (სახ.) და საფლავი (სახ.) ველის ეცპუს (ნათ.) 2) შვილმა ააგებინა.

TLE 619.

1) cehen. suθi. hinθiu. θueθ. sianθ. etve. θaure. lautneθcle. caresri. auleθ. larθial. precuθuraθi.

2) larθialisvle. cestnal. clenaraθi. eθ. fanu. lautn.precuθ ipa. murzua. cererum. ein.

3) heczri. tunur. clutiva. zelur [:] X X X X (X) †

ეს შედარებით ვრცელი წარწერა, როგორც ა. პტიფიგი აღნიშნავს, ორი ნაწილისაგან შედგება: საალმშენებლო წარწერისაგან 1-2a (clenarasi ფორმის ჩათვლით) და lex sepulcralis-ისაგან 2b (eθ-იდან) ბოლომდე⁶⁰. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წარწერის პირველი ნაწილი, რომელშიც დასტურდება კიდევ ჩვენთვის საინტერესო ფორმები precuθuraθi და clenaraθi, შემასმენელი ამ შემთხვევაში არის caresri, „car“ შენება ზმნის ფორმიდან. ალბათ ამ შემთხვევაში ჩვენ გარდამავალ ზმნასთან გვაქვს საქმე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წარწერა ველარ მოგვაწვდიდა ინფორმაციას საფლავის აღმშენებლის შესახებ, მეორე მხრივ კი საალმშენებლო წარწერის მეორე ნაწილში მივიღებდით ნათესაობით ბრუნვაში დასმულ (თუკი si-ზე ფორმებს ნათესაობითად მივიჩნევთ) ექვსი არსებითი სახელის არაბუნებრივ შეჭტუფებას. შესაბამისად caresri ბუნებრივი იქნებოდა გვეთარგმნა როგორც „აღმენს“. რაც შეეხება სხვა ფორმებს, აქ შეიძლება შემდეგ

გი ითქვას. *cehen* არის ნაცვალსახელური ფორმა *ca* („ეს“) + *hen* (დეიქტური ნაწილაკი „აქ“) — „ეს“. *suθi* „საფლავი“ „სამყოფელი“ (სახ.). *hinθiu* = (*hinθu*) „მიწისქვეშა“ „ქვეშ მდებარე“. *θues sians* მნიშვნელობა გაურკვეველია. *etve* უნდა იყოს მოდალისი, რომელიც, თუკი პფიფიგის ინტერპრეტაციას მივიღებთ, შეიძლება ნიშნავდეს „როგორც წარჩინებული, წარჩინებულად“⁶¹. *θaure* ასევე მოდალისი *θaura*-დან „საფლავი“. *etve θaure* შესაბამისად შეიძლება ითარგმნოს: „წარჩინებულ საფლავად“, „ვით საფლავი წარჩინებული“. *lautneścle* (*laut* „ოჯახი“ „გვარი“ — *cla* კოლექტიურობის სუფიქსი, რომელიც დაერთვის ნათესაობითის ფორმებს) შეიძლება ითარგმნოს „საგვარეულოდ“, „საოჯახოდ“, „მთელი ოჯახისად“ (მოდალისი), *auleś* (ნათ.) — „ავლესი“, *larθial* (ნათ.) „ლართის“, *larθialisvle* (ემფ. პრონომ. ნათეს.). კუთვნილ. ზედსართავი პატრონიმიკონიდან (ლართ.) — „ლართის“. *cestnal* (ნათ. მეტრონიმიკონიდან *cestnei*) — „კესტნის“. თუკი დავუშვებთ, რომ —*si*-იანი ფორმები ამ შემთხვევაშიც ერგატივია, რისკენაც იხრება თვით ა. პფიფიგიც⁶², მაშინ *precuθuraśi* (*precu* (საკუთარი სახ.) + *θur* (კოლექტიური კუთვნილებისა და მრავლობითობის სუფიქსი) + *a* (ემფატიკური ხმ.) + *śi* (ერგატ.)) შეიძლება ითარგმნოს „პრეკუანთა“, ხოლო *clenaraśi* („შვილი“ + *ar* (მრავლ. ნიშანი) + *śi* (ერგატ.)) — „შვილებმა“. შესაბამისად წარწერა შეიძლება ასე წავიკითხოთ:

1) ეს საფლავი მიწისქვეშა *θues*(?) *sians* (?) წარჩინებულ საფლავად საოჯახოდ ააგეს ავლეს ლართის პრეკუანთა

2) ლართისა და კესტნის შვილებმა.

თუკი ამ შემთხვევაში —*si*/-*śi*-იანი ფორმების ერგატივებად მიჩნევა რეალურია, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ წარწერათა კიდევ ერთი ნაწილი, რომელშიც მსგავსდაბოლოებიანი სახელები გვხვდება ზმნურ ფუძეებთან მეტწილად -*u* ხმოვანზე დაბოლოებულებთან. ჩვეულებრივ, ზმნის ამ ფორმებს ეტრუსკოლოგიაში მიიჩნევენ ე. წ. ზმნურ სახელებად (*Verbalnomen*)⁶³. ა. მ. ფუძიდან *mut* — „მიძღვნა“ *u*-თი იწარმოება *mulu*, რომელსაც თარგმნიან როგორც „მიძღვნილი“ „ძღვენი“, *aliqu* „მიცემული“, *zinaku* „შეძენილი“, „სრულქმნილი“ „შექმნილი“. ჩვეულებრივ ამ მოსაზრებას ამყარებენ იმ ფაქტითაც, რომ ზოგიერთი არსებითი სახელი, რომელიც

ზმნურ ფუძეებს შეიცავს, ბოლოვდება *ა-ზე* ა. მ. (*ziχ—„წერა“→* *ziχა „მწერალი“*. ვფიქრობთ, ეს არ არის საკმარისი ზემოთ მოტანილ ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაციისათვის. ჩვენის აზრით, ამგვარ ინტერპრეტაციას რამდენიმე მომენტი უშლის ხელს:

ა) ზოგიერთ წინადადებაში ზმნური ფორმები —*ა-ზე* შეიძლება ითარგმნოს მხოლოდ როგორც მესამე პირის ფორმები. ა. მ.

TLE 889

1) *semni(?) r[a]mθa. spitus. la[rθal]*

2) *puia. amce. lupu. avils. XXII*

3) *huṣur. ci. acnanas*

თუკი ა. პფიფიგის ინტერპრეტაციას მივყევით, ამ წარწერაში TLE 888 და TLE 887-ის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ტიპური სეგმენტი⁶⁴:

I. *semni r[a]mθa* სემნი რამთა II. *spitus la [rθal] puia amce* სპიტუს ლართის ცოლი იყო. III. *lupu avils [X]XII* — წლის 22 IV. *husur ci acnanas* შვილები სამი დატოვა (ჰყავდა)

თუკი *lupu* ფორმას წარმოვიდგენთ ნაზმნარ სახელად, მაშინ III სეგმენტი უნდა ვთარგმნოთ: „მომკვდარი 22 წლის (ასაკში)“, მაგრამ დადასტურება *amce* „იყო“ ფორმისა II სეგმენტში და *acnanas* „დატოვა“ „ჰყავდა“—IV-ში გვაიძულებს, რომ აქ *lupu* ვთარგმნოთ როგორც პირიელი ფორმა „მოკვდა“. ამას ადასტურებს აგრეთვე TLE 887 და TLE 888, რომლებშიც იგივე სტრუქტურის მქონე III სეგმენტში დასტურდება ზმნის პირიელი ფორმა *svalce* „იცხოვრა“. ავილოთ მეორე მაგალითი.

TLE 165

1) *arnθ. χurcles. larθal. clan. ramθas. pevtñial. zilc. parχis. amce*

2) *marunuχ. spurana. cepen. tenu. avils. maxs. semfalχls. lupu* მართალია, ამ წარწერაში ყველაფერი ნათელი არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება ზმნურ ფორმებთან დაკავშირებულ სიტყვათა გარკვეული ჯგუფების გამოყოფა. პირველი ჯგუფის სიტყვები თავს იყრიან *amce marunuχ*-ის გარშემო (*amce* „იყო“ *marunu* ჩვენთვის ჯერ უცნობი ზმნური ფორმა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინიდან

„მარონი“, *χ-ც*, მაკავშირებელი კოპულა, ქართ. „ც“-ს შესაბამისი, უნდა გადმოიცეს „და“ კავშირით), მეორე ჯგუფში—*tenu*-ს „თანამდებობის აღსრულება“, „თანამდებობაზე დანიშვნა“, „დასმა“, მესამეში—*lupu*-ს გარშემო. თუკი ამ შემთხვევაში იმ თვალსაზრისს გავიზიარებთ, რომ *marunu*, *tenu*, *lupu* ფორმები ზმნური სახელებია, მაშინ ძნელი იქნება იმის ახსნა, რა პრინციპით უპირისპირებს პირველი ჯგუფის *amce* პირიელ ფორმას წარწერის შემსრულებელი ზმნის სახელურ ფორმებს პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში, რითი უნდა ავხსნათ სამი ზმნური სახელის შეჯგუფება წარწერის მეორე ნაწილში. საკმარისია ეს ფორმები ვთარგმნოთ როგორც პირიელი „იმარონა“. „თანამდებობა აღასრულა“ და „მოკვდა“, რომ წარწერა სრულიად ნათელი გახდება:

1) არნთი ხურკლეს ლართის და რამთას პეეტნიას შვილი პრეტორი *parxis* (ნათ. *parxi*-დან—თანამდებობის ტიტული) იყო.

2) და იმარონა. ქალაქის *cepen*-ის (?) თანამდებობა აღასრულა. მოკვდა 75 (?) წლისა.

ბ) -*u* ზოგიერთ შემთხვევაში უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის (*mul-u*, *tur-u*), სხვებში კი ცალკეული სუფიქსებით გავრცობილ ფუძეებს (*al-iq-u*, *cer-ix-u*, *rin-ak-u* და ა.შ.).

გ) არც ერთ შემთხვევაში—*u*-ზე დაბოლოებული ზმნური ფორმების შემცველ წინადადებაში ეს ფორმები არ არის გამყარებული ყოფნა ან სხვა ზმნის, რომელიც აქ იგულისხმება, პირიელი ფორმებით.

დ) არც ერთ შემთხვევაში *u*-ზე დაბოლოებულ ზმნურ ფორმებთან არ არის შეთანხმებული ჩვენებითი ნაცვალსახელი, ან ზედსართავი, ან რიცხვითი სახელი, რომელიც გამოკვეთდა მის სახელურ ბუნებას.

ე) თუკი -*u* ფორმებს მივიჩნევთ ნაზმნარ სახელებად, ხოლო მათთან დაკავშირებულ -*si/-xi* ფორმებს ემფატიკურ ნათესაობითად, მაშინ ახსნას მოითხოვს ერთი ამგვარი კანონზომიერება. რატომ ხდება, რომ -*si/xi*-იანი ფორმები, როგორც წესი, მაშინ დასტურდება, როდესაც წინადადებაში გვაქვს *u*-ზე დაბოლოებული აქტიური ზმნური ფუძე ან, უფრო სწორად, ამ ფორმებთან თითქმის ყოველთვის -*si/-xi* -ზე დაბო-

ლოებულის სახელები გამოიყენება, მაშინ, როდესაც ზუსტად იგივე სინტაქსური კონსტრუქციის წინადადებაში, ოღონდ—*u-ზე* დაბოლოებულ ზმნურ ფორმათა გარეშე, გამოიყენება ჩვეულებრივი ან *a*-თი გავრცობილი ნათესაობითი. ა. მ. *mi mulu*-ს შემდეგ წინადადებაში ყოველთვის გვაქვს *-si/-si*-იანი სახელი. შესაბამისად, თუკი *mulu* უნდა ვთარგმნოთ როგორც „ძღვენი“, ამგვარი წინადადება ასე უნდა გავიგოთ: „მე (ვარ) ძღვენი ამისი და ამისი“. ე. ი. სრულიად აშკარაა, რომ ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში წინადადებამ არ უნდა დაკარგოს თავისი ე. წ. ემფატიკურ ნათესაობითში დასმული სახელი *mulu*-ს გამოტოვების შემთხვევაშიც: „მე (ვარ) ამისი და ამისი“. მაგრამ, როგორც ეტრუსკული წარწერების შესწავლა გვიჩვენებს, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, აღარ გამოიყენება—*si/-si*-იანი ნათესაობითი. ა. მ. TLE 10 *mi venelus* (ნათ.) *numclanies* (ნათ.); TLE 16: *caisieša* (ნათ.+ემფ. *a*) *mi*; TLE 17: *tarusula* (ნათ.+*a*) *mi* და სხვ. მრავალი. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ *mulu*-ს შეცვლის შემთხვევაში სხვა სიტყვით, რომლის სახელური ბუნება ეჭვს არ იწვევს და რომელსაც წინადადებაში ზუსტად იგივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს, კვლავ ჩვეულებრივი ნათესაობითი გვხვდება. ა. მ. თუკი მსგავსი სტრუქტურის წინადადებაში დასტურდება *mulu*-ს მაგივრად *cana* „ნახელავი“, *-si/-si*-იანი ფორმები აღარ გვხვდება. შდრ. TLE 681: *mi. cana. arnθal. prastnaš. lavcisla*; TLE 682:¹ *mi. cana larθial. 2numθral. laucis 3puil* და ა. შ. მეორე მხრივ. ეტრუსკულ წარწერათა ერთ ნაწილში, რომლებშიც მოსალოდნელი მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმა გამოტოვებულია და, ამასთანავე, გადმოცემულია ნივთის დამამზადებლის შესახებ ინფორმაცია, სახელი გვხვდება ან სახელობით, ან *-si/-si*-ზე დაბოლოებულ ბრუნვაში, რომელიც მხოლოდ ერგატივი შეიძლება იყოს; ა. მ. TLE 338: *mi mamarces artesi* „მე (გამაკეთა) მამარკეს არტემ“, ან TLE 4: *mi mamarce asklaie* „მე (მწირავს) მამარკე ასკლაის(?)“. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზმნურ ფუძეზე დართული *-u* ზმნური ფუძის შემთხვევათა უმეტესობაში უნდა იყოს მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი და, თუკი *lupu* „მოკვდა“ ფორმას გავითვალისწინებთ, ის მარტივი ზმნური ფუძიდან აორისტის—ნამყო სრულის მესამე პირის ფორმებს აწარმოებდა. რასაკვირველია, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ ეტრუსკულში *u*-თი შეიძლებოდა ასევე სახელური

ფორმების წარმოება. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფორმანტებთან: ერთ შემთხვევაში — პირის ნიშანთან, მეორეში კი — სახელური ფორმის მაწარმოებელ სუფიქსთან. ა. მ. როგორც ჩანს, სახელური ფორმა უნდა იყოს *sup-lu* (ლათ. *subulo*), *persu* (ლათ. *persona*) და ა. შ. ამგვარი დამთხვევა ფორმანტებისა არ არის იშვიათი არც ეტრუსკულში და არც სხვა ენებში. საკმაოდ კარგი პარალელების მოტანა შეიძლებოდა ამ მხრივ ქართველური ენებიდან. აქ -ა შეიძლება იყოს მესამე პირის და საწყისის ნიშანიც, -ი შეიძლება იყოს უწყვეტლის ხოლმეობითის და ზმნის სხვა მწკრივთა და, ამასთანავე, სახელობითი ბრუნვის ნიშანიც. ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, უფრო ნათელი იქნებოდა იმ წარწერათა შინაარსი, რომლებშიც -*si/-xi*-იანი ფორმები სწორედ *u-*ზე დაბოლოებულ ზმნებთან არის დაკავშირებული და რომელთა ინტერპრეტაცია დავას იწვევს ეტრუსკოლოგიაში.

TLE 153

mi mulu kaviieši

მე (სახ.) ძღვნად მიმცა (აორ. III პ.) კავიიემ (ერგ.ე):

TLE 940

mi spurieisi teiθurnasi aliqu

მე (სახ.) სპურიე ტეითურნამ (ერგ.) შემწირა (აორ. III პ.);

REE 1972,1

mi zinaku larθuzale kuliniieši

მე (სახ.) შემქმნა (აორ. III პ.) ლართუცალე კული-იემ.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიძლება გარკვეულად ერგატივის გამოყენების კანონზომიერების განსაზღვრაც ეტრუსკულში:

1. ერგატივი გვხვდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც წინადადებაში გვაქვს აუცილებლად მოქმედებითი გვარის ზმნა: *mulu, zinaku, aliqu, cerine, caresri*.

2. ერგატივი გვხვდება, როგორც ჩანს, მხოლოდ აორისტა და მასთან დაკავშირებულ ფორმებთან. მართლაც ეტრუსკულში საკმაოდ კარგად შეგვიძლია დავადასტუროთ ის, თუ როგორ ცვლის ზმნის დროის ფორმა სუბიექტის ბრუნვას სავსებით ერთი ტიპის მიძღვნივით, თუ სააღმშენებლო წარწერა-ფორმულებში.⁶⁵

სუბიექტი ერგატივში	სუბიექტი სახელობითში
<u>mi mulu</u> <u>kaviiesi</u> mi spurieisi <u>teiθurnasi</u> <u>aliqu</u> mi larθuzale <u>kuleniīsi</u> <u>zinaku</u> eca <u>θuθic...</u> <u>clehsi</u> <u>cerine</u>	mini <u>kaisie</u> θannursiannas <u>mulvannice</u> mini <u>alice</u> <u>velθur</u> ve [...] mi qutun lemauθnas <u>renazu</u> <u>zinace</u> <u>vel matunas...</u> <u>cn θuθi</u> <u>cerixunce</u>

ერგატიული კონსტრუქციის კვალი ასევე აახლოვებს ეტრუსკულს ქართველურსა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებთან. ტიპოლოგიურად იგი ყველაზე ახლოს სწორედ ქართველურთან არის, რომელიც ერგატივს იმავე კანონზომიერებებით გამოიყენებს⁶⁶. რაც შეეხება მატერიალურ მსგავსებას, შეიძლება აღგვენიშნა, რომ ერგატივის -še დაბოლოება — გარდამავალ ზმნათა სუბიექტის ბრუნვისა, დამახასიათებელი იყო ურარტული ენისათვის. ა. მ. Menuaše ini pili aguni — „ეს არხი მენუამ გაიყვანა“. ერგატივის იგივე სუფიქსი აღდგება ხურიტულშიც⁶⁷.

2) „Rideterminazione morfologica“ — მ. პალოტინოს განსაზღვრებით ეტრუსკული ენისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოვლენაა და გამოიხატება სუფიქსთა, ზმირად ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონეთა, დახვევებით სახელურ ფუძეთა ბოლოს, რაც, როგორც ჩანს, ემსახურება სიტყვის სინტაქსური ფუნქციის გაძლიერებას ან რედეტერმინაციას⁶⁸. ამ მოვლენის ყველაზე აშკარა გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ — Genitivus genitivi, ანუ „ორმაგი ნათესაობითი“. ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას ემატება ნათესაობითის კიდევ ერთი სუფიქსი. როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. პფიფიგი, ერთი და იგივე სიტყვის ორმაგი (და სამმაგიც კი) ბრუნება უნდა ავხსნათ სინტაქსური და არა მორფოლოგიური ფუნქციით⁶⁹. ეტრუსკულში გვაქვს ამგვარი კანონზომიერება: თუკი გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციაში საზღვრული, რომელიც მართავს მსაზღვრელად გამოყენებულ სახელს ნათესაობითში, თვით დაისმის ნათესაობითში, მაშინ მსაზღვრელი დაირთავს გენეტივის კიდევ ერთ სუფიქსს, ანუ იბრუნება განმეორებით.

ა. მ. თუკი ჩვენ მოვიხილოთ vel (სახ.) არჩალ (ნათ.) „ველი არნ-თისა“ ვაბრუნოთ ნათესაობითში, მაშინ მსაზღვრელი არჩალ განმეორებით დაისმის გენეტივში: velus (ნათ.) არჩალს (ორმაგი ნათ.). ამ თვისებით ეტრუსკული მკვეთრად განსხვავდება ხმელთაშუაზღვის სხვა ცნობილი ენებისაგან და აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ქართველურ ენებთან. მათი დამახასიათებელი თავისებურებაა ასევე მსგავს სინტაქსურ კონსტრუქციაში «возможность повторного склонения имени, стоящего в форме родительного падежа: имеется в виду морфологическое содержание особой конструкции этих языков, так называемого родительного падежа с отношениями»⁷⁰. შესაბამისად ორმაგი (და სამმაგი) ნათესაობითი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ქართველური ბრუნებისათვის. ასე მაგ., „სახლი ძელისაი“ ნათესაობითში მიიღებს ფორმას „სახლისა ძელისაისა“. აქ, ისევე როგორც ეტრუსკულში, «имя стоящее в форме родительного падежа, воспринимается в качестве прилагательного, способного в свою очередь склоняться»⁷¹. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქართულშიც და ეტრუსკულშიც ნათესაობითის ფორმა შეიძლება, თავის მხრივ, ამოსავლად იქცეს სხვა ფორმათა წარმოებისას: ეტრ. unī-al-θī (ნათ. + -ში) „უნი-ს-ა-ში“ და ქართ. „ძელ-ის-ა-ში“.

ახლა კი შევეხოთ ისეთ შეხვედრებს, რომელნიც სცილდებიან ტიპოლოგიური მსგავსების ფარგლებს⁷²:

1) **მრავლობითის სუფიქსად** ეტრუსკულში გამოყენებულია -r (-ar, -er, -ur), რომელიც ასიმილაციის შედეგად შეიძლება -l-დ იქცეს. ეს სუფიქსი უშუალოდ დაერთვის სახელის ფუძეს ბრუნვის ნიშნის წინ: clan „შვილი“, clen-ar-a-si „შვილებმა“⁷³. მრავლობითის სუფიქსი -ვრ, არ, ვრ (დისიმ. ვლ, აღ, ვლ), რომელიც დადასტურებულია სვანურ ენაში, როგორც ჩანს, ორგანული იყო ქართველური ენებისათვის და იგი შესატყვისობას პოულობს უძველესი ქართველური ტოპონიმების ზღუდერი, კოჯორი და ა. შ. სუფიქსალურ ელემენტებთან. შდრ. სვან. ჩჷე „ცხენი“, ჩჷჷ-ვრ „ცხენები“.

2) **ბრუნვის დაბოლოებანი**. ეტრუსკულ ენაში მკველევარნი გამოყოფენ რამდენიმე ბრუნვას. მათ ხშირად აღნიშნავენ კლასიკურ ენათა ტრადიციულ გრამატიკაში დამკვიდრებული ტერმინებით,

რაც უაღრესად პირობითია. ამიტომ ქვემოთ, ეტრუსკულ-ქართველურ ბრუნვათა შეპირისპირებისას, ზოგჯერ ჩვენ გამოვიყენებთ ქართველოლოგიურ ლიტერატურაში შემოღებულ ტერმინოლოგიას, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს ეტრუსკული ბრუნვების არსს.

სუბიექტ-ობიექტის ბრუნვა; მას ჩვეულებრივ სახელობითს უწოდებენ. ეტრუსკულში ეს ბრუნვა, რომელსაც არა აქვს სპეციალური დაბოლოება, გამოიყენება როგორც სუბიექტის, ასევე პირდაპირი დამატებისათვის. მაგ., *mini mulvanice Mamarce* „მე მწირავს მამარკე“. აქ სუბიექტი *Mamarce* — სახელობითშია. მაგრამ კონსტრუქციაში *arni suθi hece* „არნთმა საფლავი აღმართა“ სახელობითშია *suθi* „საფლავი“ — პირდაპირი დამატება. როგორც ცნობილია, ქართველური შესაბამისი (სახელობითი) ბრუნვის ფუნქციაც ასეთივეა და იგი წარმოგვიდგება ან \emptyset , ან -ი დაბოლოებით.

ნათესაობითი ბრუნვა. ეტრუსკული წარმოდგენილია ორი ძირითადი სუფიქსით: -s და -l, რომელთაც შეიძლება წინ უძღოდეთ სხვადასხვა ხმოვნები (ეეფონიური?). მაგ., *larθ* (სახ.), *larθal* (ნათ.); *sex* „ქალიშვილი“, *sex-i-s* „ქალიშვილის“. ეტრუსკული -s გვიჩვენებს შესაბამისობას ქართველურ -ის ნათესაობითის სუფიქსთან, რომელიც ადის საერთოქართველურ დონემდე და ხმოვან თუ თანხმოვანფუძიან სახელებზე დართვისას წარმოგვიდგება სხვადასხვა წინამავალი ხმოვნით: -ის, -ას, -ეს, -უს, -ოს. რაც შეეხება სუფიქსს -l, იგი საინტერესო შეხვედრებს ავლენს ზოგიერთი კავკასიური ენის ნათესაობითას სუფიქსთან. შდრ. ავარ. *цара-л* „მელიას“, *ума-ла* „სკამის“ და ა. შ. გარდა აღნიშნული სუფიქსებისა, ეტრუსკულში კუთვნილებას გამოხატავდნენ აგრეთვე n-ს შემცველი სუფიქსები (-in, -an, -un), მაგ. *laut* „ოჯახი“, *laut(u)n* „ოჯახის“, *puia* „ცოლი“, *pu(i)an* „ცოლის“. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ ფორმებს „არქაულ ნათესაობითად“ მიიჩნევს⁷⁴. ჩვენის აზრით, პარალელურად *puil* „ცოლის“ ნათესაობითის ფორმის არსებობა უფრო მიზანშეწონილს ხდის აღნიშნული დაბოლოების პოსესიურ, ანუ კუთვნილების სუფიქსად მიჩნევას. იგი მიმართებას გვიჩვენებს ქართველურ ქონების -ვან (←ევ-ან), -აან (←ავ-ან) და ა. შ. კუთვნილების სუფიქსებთან⁷⁵, რომლებშიც, ვფიქრობთ, გამოიყოფა -ან ელემენტი.

ლოკატივი ეტრუსკულში *θ(i)/t(i)* სუფიქსით იწარმოება:

სამიშ „საფლაუში“, spureში „ქალაქში“. მასთან შეიძლება ქართული ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -ლ/-ად/-და შეპირისპირება, რომელიც საერთოქართველურ დონემდე ადის და რომელიც მიმართულების გაგებასაც შეიცავს. მაგ., ბეთლემ-დ, ქორწილ-დ, ადგილ-დ და ა. შ.

მოდალისი ეტრუსკულ ენაში გამოყო მკვლევართა ერთმა ნაწილმა და მის დამახასიათებლად მიიჩნია დაბოლოება -e. ა. პეფიგის აზრით, ჩვენ საქმე გვაქვს მოდალისთან, რომელიც „drückt modale, finale, lokale, temporale und instrumentale Beziehungen aus“. ⁷⁶ ზოგიერთ მკვლევარს შემთხვევათა ერთ ნაწილში e-ში სურს მიცემითი ბრუნვის მაწარმოებელი დაინახოს. საკითხის გადაწყვეტას ის ართულებს, რომ -e-ზე დაბოლოებული ფორმები (tesne, rašne, munθene, etve, θaure, velθe და სხვ.) ძნელად ინტერპრეტირებად კონტექსტებში გვხვდება. ვფიქრობთ, მსგავსი სუფიქსალური -ა და -ე ხმოვნების კვალი ჩვენ ქართველურ ენებშიც გვაქვს: შდრ. ქართ. ხვალ-ე, მეგრ. ჭუმ-ე, ქართ. შინ-ა, ქართ. გარ-ე, მეგრ. ას-ე და ა. შ. აქვე შეიძლება აღგვენიშნა, რომ ურარტულში -e არის დატივის დაბოლოება: Dhaldi-e euri-e (Dhald-e eur-e) „ღმერთს ხალდს“.

-ra/-re და ბოლოებანი ეტრუსკულში, როგორც ჩანს, განსაზღვრავდნენ, აზუსტებდნენ საგნის ადგილმდებარეობას. მათ არ უნდა ჰქონოდათ ბრუნვის დაბოლოების ფუნქცია. მაგ., caθ-ra „მზისკენ“, velθ-re „ველზე“, „მიწაზე“. მასთან მიმართებას ავლენს ქართული ენკლიტიკური ნაწილაკი -რე, რომელსაც ანალოგიური ფუნქცია აქვს და ადის ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე (მეგრ.-ჭან. -ლე). შდრ. ქართ. გარ-ე, მეგრ. მე-ლე, წოხ(ო)-ლე და სხვა.

3) **ემფატიკური დაბოლოებანი.** ეტრუსკულ ენაში ბრუნვის დაბოლოებებს, მეტწილად ნათესაობითს, შეიძლება, თავის მხრივ, დაერთოს ემფატიკური -a ან -i. ეს ემფატიკური ხმოვნები, როგორც წესი, ქმნიან ნათესაობითში დასმულ ზედსართავ სახელთა სუბიექტურ-ობიექტურ ბრუნვად გააზრებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ხელახალი ბრუნების საშუალებას. ასე მაგალითად, ნათესაობითის -s და -l დაბოლოებანი შეიძლება წარმოგვიდგინონ როგორც ემფატიკური ხმოვნების, ისე მათ გარეშე. შდრ. sepieś—sepiesa, taruśul—taruśula და ა. შ. იგივე მოვლენა დამახასიათებელია ქართვე-

ლური ენებისათვისაც, რომლებშიც -ი და -ა ემფატიკური ხმოვნები ძალზე გავრცელებულია და ნათესაობითის -ის/-ს-ზე დართვის შემდეგ ამ ფორმას ანიჭებენ ზედსართავულ ფუნქციას. შდრ.: ცეცხლ-ის—ცეცხლის-ა, მზი-ას—მზი-ას-ი და ა. შ.

4) **ზმნური ფორმების წარმოება.** ეტრუსკული მორფოლოგიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროს ზმნა წარმოადგენს. დღემდე მკვლევართ ვერ მოახერხეს ეტრუსკული ზმნის მრავალრიცხოვან დაბოლოებათა ფუნქციის დადგენა. როგორც ცნობილია, ეტრუსკულში პრეფიქსები ძალზე უმნიშვნელო ოდენობით გვხვდება და ამდენად უღვლილების მთელი სისტემა სუფიქსაციის საშუალებით ხორციელდება. უკანასკნელ ხანებში ჯ. გარბინი⁷⁷ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსგავსად კავკასიური ენებისა, ეტრუსკულს უღვლილების რთული სისტემა ახასიათებდა, რომ ეტრუსკული ზმნის მრავალრიცხოვან დაბოლოებებში სრულიად განსხვავებული მორფემები უნდა დაეინახოთ. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ეტრუსკული ზმნის სპეციალურ შესწავლას. გვინდა მხოლოდ მივუთითოთ იმ ზოგიერთ აშკარა შეხვედრაზე, რომელიც მას, ჩვენის აზრით, აქვს ქართველურ ზმნასთან და რომელიც ხშირად ეტრუსკოლოგებს მხედველობიდან ეპარებათ. შეეჩერდეთ, პირველ რიგში, მესამე სუბიექტური პირის ნიშნებზე. ჩვენ ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ეტრუსკულში აშკარად შეიძლებოდა ერგატივის გამოყოფა. ამ თვალსაზრისით ალბათ პირველ რიგში საინტერესოა იმის შესწავლა, თუ უპირატესად როგორი ზმნური ფორმები გვხვდება იმ წინადადებებში, სადაც შეიძლება ერგატივის დადასტურება. რასაკვირველია ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ წარწერაში შესაძლებელია აღრევა მოსვლოდა სახელობითსა და ერგატივს შორის თვით წარწერის ავტორს. ამიტომ ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, სადაც შეიძლება რაღაც სისტემაზე ლაპარაკი. ყველაზე ხშირად si-იანი ფორმები გვხვდება -ა-ზე დაბოლოებულ ზმნურ ფუძეებთან. ჩვენ ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რა სირთულეები ელოდება წინ მათთან გამოყენებულ -si-ზე დაბოლოებულ სახელთა მიცემითად ან ნათესაობითად მიჩნევას, რომ ისინი ყველაზე ლოგიკურია, როგორც წესი, ჩავთვალოთ ერგატივში დასმულად. შესაბამისად -ა-ზე დაბოლოებულ ზმნათა მეტი წილი უნდა მივიჩნიოთ მხ. რიცხვის მესამე

პირის ფორმებად. თითქმის ყველა კონტექსტი, რომლებშიც გვხვდება *mulu, turu, aliqu, zinaku* ფორმები, მიუთითებს იმაზე, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს აორისტთან, ანუ ნამყო სრულთან. შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად ხმარებული -u ზმნური სუფიქსი შეიძლება მივიჩნიოთ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად, რომელიც ზმნების გარკვეულ ნაწილს დაერთვის მხოლოდ აორისტში. *si*-იანი, ანუ ერგატიული ფორმები გვხვდება აგრეთვე გარდამავალ ზმნებთან, რომელთა ფუძეს დაერთვის სუფიქსი -in-e; როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ორ სუფიქსალურ ელემენტთან -in და -e, მაგ., *clensi cerine* („შვილმა აავო“). თუკი აქ პირის აღმნიშვნელი სუფიქსი არის -e, როგორც ჩანს, იგი შეიძლება სულ სხვადასხვა დროის სისტემაში გვხვდებოდეს. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე. წ. გამორიცხვის კანონი: როდესაც მოქმედებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს -u დაბოლოებას, მაშინ მისი -e-თი შეცვლა წინადადებაში სუბიექტის ერგატივიდან სახელობითში გადასვლას იწვევს. შდრ. ზემოთ მოტანილი მაგალითები *aliqu/alice, zinaku/zinace* ფორმებით. უნდა ვიფიქროთ, რომ -e-ს შემთხვევაში საქმე გვაქვს სუფიქსალურ ელემენტთან, რომელიც დაერთვის ზმნურ ფუძეებს განსხვავებულ დროებში და, როგორც ჩანს, მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის სუფიქსის ფუნქცია უნდა ეკისრებოდეს. იმ შემთხვევაში, თუკი აქტიური ზმნა აორისტის სისტემაშია, როგორც მაგ., *cerine*, მაშინ მასთან დაკავშირებული სუბიექტი ერგატივშია, ხოლო თუკი დროის სხვა სისტემაში—მაშინ სახელობითში. მესამე სუბიექტური პირის კიდევ ერთი ნიშანი უნდა იყოს -a, რომელიც, როგორც ჩანს, აწმყო დროის სისტემაში მხ. რიცხვის მესამე პირის სუფიქსია. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ეტრუსკულ ზმნას შეიძლება მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მოუდიოდეს -u, -e და -a სუფიქსები. მათგან -u, როგორც წესი,—აორისტში, -e—სხვადასხვა დროებში, -a—აწმყოში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ეტრუსკული გვიჩვენებს მიმართებას ქართველურთან. ქართველური a- სუფიქსი (ქართ. ა, მეგრ. -უ; -ჲ, ჭან. -უ, -ო, სვან. ა) გვევლინება მესამე სუბიექტური პირის ნიშნად წარსულის დროებისათვის, როგორც აწმყოს სისტემაში, ასევე აორისტში. ქართ. -ო, სვან. ე- სუფიქსი დამახასიათებელია მხოლოდ აორისტის სისტემისათვის მხ. რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში. შეიძლება ითქვას, რომ ა-, ე-, ო-, უ- არის ის ხმოვნები, რომელნიც გამოიყენებია

ქართველურ ენებში, მსგავსად ეტრუსკულისა, მხოლოდითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში. ძალზე გავრცელებულია ეტრუსკულ ზმნაში დაბოლოება -ce და -i-ce. მეცნიერთა ერთი ნაწილი -ce-ში ხედავს -c პრეტერიტუმის სუფიქსს და -e პირის დაბოლოებას და, როგორც წესი, არ განასხვავებს ერთმანეთისაგან ზემოთ აღნიშნულ ორ სუფიქსს⁷⁸. უკანასკნელ ხანებში ჯ. გარბინიმ⁷⁹ მხარო დაუჭირა მოსაზრებას, რომ -ce შემთხვევათა უმეტესობაში არის მოქმედებითი გვარის მესამე პირის დაბოლოება პერფექტში. მას უკავშირდება -χe, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ალბათ პასიური ან უკუქცევითი მნიშვნელობის მქონე მორფოფონემატიკული თვალსაზრისით -ce-სთან ერთგვარად დაპირისპირებულ სუფიქსს. i-ce კი ორმაგი სუფიქსი უნდა იყოს, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ მისცეს მოქმედებას, რომლის შედეგი სუბიექტს ეხება, დასრულებული ხასიათი. მას უნდა ჰქონდეს გარდაუვალ-უკუქცევითი მნიშვნელობა. ჩვენ ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისის მიღების შემთხვევაში შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ i-ce და -ce, თავის მხრივ, წარმოადგენენ ზმნურ წარმოშობის სუფიქსებს, რომელნიც ერთ შემთხვევაში გარდამავალ, ხოლო მეორეში გარდაუვალსა და რეფლექსურ მნიშვნელობას ანიჭებენ ფუძეებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ფუძემ შეიძლება დაირთოს როგორც -ce, ასევე -ice. მაგ., tur-ce და tur-i-ce. აღნიშნული სუფიქსები შეიძლება დაერთოს: ა) უშუალოდ მარტივ ფუძეს: მაგ., მამ-ce, sval-ce, tur-ce და ა. შ.;

ბ) სუფიქსალური ხმოვნით, მეტწილად -u-თი გავრცობილ ფუძეს: მაგ., tur-u-ce ან a-i-ce და ა. შ.;

გ) რომელიმე სხვა სუფიქსით გავრცობილ ფუძეს: მაგ., ac-as-ce, tur-un-ke.

დ) სუფიქსთა ჯგუფით გავრცობილ ფუძეს: მაგ., mul-v-en-i-ce, mul-e-an-i-ce, mul-u-v-an-i-ce და ა. შ.

შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ -ce და -i-ce-ს დართვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ უკვე რამდენი და რა ხასიათის სუფიქსი ერთვის ზმნის ფუძეს, ზმნა იღებს სრულიად გარკვეულ მნიშვნელობას, განსაზღვრულს სწორედ აღნიშნული სუფიქსების ფუნქციით. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ ეს სუფიქსები ზმნათა აღწერითი ფორმების საწარმოებლად იყვნენ გამოყენებულნი. ვფიქრობთ, თუკი ეს ასეა, საკმაოდ საინტერესო პარალელის გავლება შეიძლებოდა

ქართველურ ზმნაში აღწერილი წარმოების პრინციპთან *ყა- და *ყვ-საერთოქართველურ ფუძეებამდე ამაველი ზმნის ფორმებით. ქართულში „ყოფა“ რთული ზმნების წარმოებისას აორისტში იღებს ყო(←*ყუა) ფორმას. იგი დაერთვის ფუძეს, რომელიც შეიძლება იყოს „არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, საწყისი, გასუბსტანტივებული პირიანი ზმნაც კი“⁸⁰ და ქმნის, როგორც წესი, გარდამავალ ზმნებს: მაგ., ძიება-ყო, კვლ-ყო და ა. შ. საინტერესოა, რომ ეტრუსკულ ზმნათა ერთი ნაწილი, რომელიც -ce-ს დაირთავს, სუბიექტს ითხოვს -si დაბოლოებით, ანუ ერგატივში. შდრ. TLE 651, რომელშიც te-ce „დადგა“, „აღმართა“ სუბიექტს aulesi... clenši ითხოვს ერგატივში. იგივე ითქმის TLE 84-ზე: larθiale: hulyχniesi. marcesic. caliaθesi. munsle²e. nacnvaisi. θamce. lex...; ამ წარწერაში ზმნა აშკარად არის θam-ce „აღმართა“. რამდენადაც საქმე ეხება წარწერას ძველი სამარხის ორ კედელზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარ სახელთა სიუხვე მასში მიგვანიშნებს ამშენებელზეც და იმაზეც, ვისაც აუგეს სამარხი. ფორმები larθiale და munsle, ვფიქრობთ, ერთმანეთთან კავშირშია, ორივე მოდალისისათვის დამახასიათებელი სუფიქსით -e ბოლოვდება. თუკი munsle მიღებულია mun-/munისაგან „საფლავი, ადგილი“, იგი შეიძლება ითარგმნოს „სამარხად“. მაშინ larθiale შეიძლება წარმოვიდგინოთ მოდალისში დასმულ ნანათესაობითარ საკუთარ სახელად და ვთარგმნოთ როგორც „ლართისად“. დანარჩენ ფორმათაგან ყველა ერგატივში დასმული საკუთარი სახელია, გარდა nacnvaisi, რომელიც საკუთარ სახელთან ბრუნვაში შეთანხმებული მსაზღვრელი უნდა იყოს: „აღზევებულმა“ (?). შესაბამისად წარწერა შეიძლება ასე ითარგმნოს: „ლართის(ად) სამარხად აღმართა პულხნიემ და მარკე კალიათემ აღზევებულმა...“ ეს კი მიგვანიშნებს, რომ -ce სუფიქსის დართვა ზმნურ თუ სახელურ ფუძეებზე გვაძლევს აორისტის ფორმას. თუკი ეს ასეა, მაშინ -ce-ს კავშირი ქართველურ -ყო (←*ყუა)-სთან საკმაოდ რეალური ჩანს. ის, რომ -i-ce აწარმოებს უკვე სხვა დროისა თუ გვარის ფორმებს. დასტურდება იმით, რომ სუბიექტი ამ ფორმებთან არასოდეს არ არის ერგატივში; იგი ყოველთვის სახელობითში დაისმის. აღნიშნული სუფიქსის დართვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნური თუ სახელური ფუძეები აშკარად პასიურ მნიშვნელობას იღებენ. ამ შემთხვევაში პარალელად გამოვლდებოდა ქართული იყო (←*იყუა), რო-

მელიც ასევე *ყვ-ქართველური ფუძიდან არის ნაწარმოები. იგი აწარმოებს ვნებითი გვარის ზმნათა II თურმეობითის ფორმებს: დაწერილ იყო, დაბმულ იყო და ა. შ.

როგორც ჩანს, ეტრუსკულ ზმნაში, გარდა სუბიექტის პირის ნიშნებისა, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმე გვექონდა ობიექტური პირის აღნიშვნასთან. ამ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ acn-an-as ფორმის ანალიზის შედეგად. ჯ. გარბინი მიიჩნევს⁸¹, რომ არაერთგზის განმეორებად ეტრუსკულ ფრაზა-ფორმულაში: „მას acn-an-as შვილები“-„acn-an-as“ უნდა ითარგმნოს როგორც „მარხავენ“ ან „დამარხეს“. მაშინ -as იქნება მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი სუფიქსი, ხოლო -an პრონომინალური მნიშვნელობის ელემენტი, რომელიც ზმნაში გადმოგვცემს მხ. რიცხვის მესამე ობიექტური პირის ნიშანს. ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკური იქნებოდა დაგვეტოვებინა ეტრუსკული ზმნის ტრადიციული ინტერპრეტაცია „ჰყავდა“, „შვა“, „დატოვა“. არგუმენტები, რომელიც ჯ. გარბინის მოყავს acnanas ფორმის ახლებური ინტერპრეტაციისათვის, ჩვენ არ გვეჩვენება დამაჯერებლად. იგი განიხილავს ერთმანეთის პარალელურად სამ წარწერას TLE 887—889. 887-ში, ლაპარაკია იმაზე, რომ სპიტუს ლართმა ლართის ძემ იცხოვრა 63 წელიწადს და შვილები max. acnanas. აქ max რიცხვითი სახელია. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, max=5. 888-ში ლაპარაკია, რომ მეტლი არნთი იყო სპიტუს ლართის ცოლი, იცხოვრა 64 წელიწადს და სამი ვაჟიშვილი acnanas. 889-ში სემნი(?) რამთა იყო სპიტუს ლართის ცოლი, მოკვდა x+12 წლის ასაკში და სამი ვაჟიშვილი acnanas. რასაკვირველია, თუკი დაუფშვებთ, რომ max არის 5, მაშინ აშკარაა, რომ სპიტუს ლართის ცოლებს არ შეიძლებოდა ჰყოლოდათ ექვსი შვილი. აქედან გამომდინარე, ჯ. გარბინი acnanas ზმნის ტრადიციულ გაგებას „ჰყავდა“ არ მიიჩნევს გამართლებულად. მაგრამ, ჩვენის აზრით, იგივე არითმეტიკული სირთულე დარჩება, თუკი ზმნას ვთარგმნით, როგორც „დაკრძალეს“. განა მაშინ გაოცებას არ გამოიწვევს ის, რომ ერთ შემთხვევაში სპიტუს ლართის ცოლი, რომელსაც ქმარზე მეტხანს—64 წელიწადს უცხოვრია, სამმა შვილმა დაკრძალა, მისი მეორე ცოლიც, რომელსაც, როგორც ჩანს, საკმაო ხანს უცხოვრია, სამმა შვილმა დაკრძალა, ხოლო თვით მამა დაკრძალა ხუთმა შვილმა. რასაკვირველია, არ არის გამო-

რიცხული, რომ მამის სიკვდილის მომენტში ერთი შვილი უკვე მკვლარი იყო და რომ ამავე სამარხში აღმოჩენილი ხუთი სარკოფაგიდან ერთი, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „სპიტუს ველი ლართის შვილი მოკვდა 18 წლისა“ სწორედ ამ შვილს ეკუთვნოდა. ეს ასეც რომ იყოს, acnanas ზმნა მაინც შეიძლება ითარგმნოს ტრადიციულად, რადგან სპიტუს ლართს გარდაცვალების შემდგომ მართლაც 5 შვილი დარჩებოდა. რომ მივიღოთ ჯ. გარბინის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ამ ზმნისა, მაშინ აღნიშნულ წარწერებში მოგვიხდება მთელი რიგი სინტაქსური და აზრობრივი სირთულის გადალახვა, კერძოდ, TLE 887-სა და 888-ში ზმნური ფორმის arce პოზიციის გარკვევა. თუკი „შვილები“ თუ „გაყიშვილები“ აღნიშნულ წარწერებში სუბიექტად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ მათვე უნდა დაუკავშირდეს arce „გააკეთა“, „შექმნა“, თუმცა 887-ში ეს ფორმა აშკარად უფრო ლოგიკური იქნებოდა თვით სპიტუს ლართთან დაგვეკავშირებინა. გარდა ამისა, ნაკლებ დასაჯერებელია, რომ სპიტუს ლართის საოჯახო სამარხში წარწერათა შემსრულებელი იმით ყოფილიყო დაინტერესებული, თუ ერთი და იგივე ოჯახის რომელი წევრი რამდენმა შვილმა დამარხა. ამ შემთხვევაში უფრო ბუნებრივი იქნებოდა წარწერაში დაგვენახა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სპიტუს ლართის თითოეულმა ცოლმა რამდენი შვილი მისცა ოჯახს და რამდენი დარჩა თავად ოჯახის თავს გარდაცვალების შემდგომ. რასაკვირველია, მთელი ეს მსჯელობა სრულიად ზედმეტი იქნება, თუკი დავუშვებთ, რომ სამარხში დაკრძალულთა შორის სრულიად სხვაგვარი ნათესაური კავშირი არსებობდა, რომ სამივე ქალი ერთი და იმავე კაცის ცოლი კი არ იყო, არამედ ერთი მათგანი მაინც სპიტუს ლართის დედა იყო და ა. შ. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ acn-ზმნური ფუძის ტრადიციული ინტერპრეტაცია უფრო დამაჯერებელია, მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება ჯ. გარბინის არ დავეთანხმოთ იმაში, რომ აღნიშნულ ზმნურ ფორმაში—an აშკარად რომელიღაც პირის ნიშნის გამომხატველია, რაც შეეხება—as-ს იგი, როგორც ჩანს, არის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, რომელსაც აქვს არა მარტო პირის ნიშნის ფუნქცია, არამედ ზმნას ერთგვარ პარტიციპიალურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს. ყველა ეტრუსკული წარწერის მიხედვით, რომელშიც გვხვდება acnanas, თუკი მისი მნიშვნელობის ტრადიციულ გაგებას

მივიღებთ და, ამასთანავე, -an და -as დაბოლოებებს პირის ნიშნებად ჩავთვლით, ამ ზმნის შემცველ წინადადებებს ის ახასიათებს, რომ აქ სუბიექტი არის მხოლოდით რიცხვში, ხოლო ობიექტი—მრავლობითში. ა. მ. ყველგან „სუბიექტს acnanas რამდენიმე შვილი“. შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ —an არის ზოგიერთ ეტრუსკულ გარდამავალ ზმნაში ობიექტის მრავლობითის გამომხატველი. თუკი ყოველივე ეს ასეა, ეტრუსკულ ზმნას ამ მომენტებშიც შეხვედრა აქვს ქართველურ ზმნასთან. როგორც ცნობილია, -ეს არის ქართულ-ზანურ დონემდე ამავალი მესამე სუბიექტური პირის ქართველური სუფიქსი. საერთოდ, -ეს, -ს სუფიქსები წარმოადგენს ქართველური ზმნის მესამე სუბიექტური პირისათვის ზმნათა სხვადასხვა დროებში დამახასიათებელ მეტად არქაულ სუფიქსებს. ასევე ელემენტი -ენ ახასიათებს ქართველურ ზმნას ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად—ქართული -ენ, მეგრ.-ჭან.-ან. შდრ. „მოკლ-ნ-ა (←*მოკლ-ენ-ა) მან ივინი“, მაგრამ „მოკლ-ა მან ის“, „დაეწერ-ნ-ეს მას ისინი“, მაგრამ „დაეწერ-ა მას ის“.

ეტრუსკულ ზმნაში -n ელემენტის შემცველი აფიქსები მრავლად არის და, როგორც ჩანს, მათ სავსებით განსხვავებული ფუნქციები აქვთ. როგორც ვარაუდობენ, ერთ-ერთი ასეთი ფუნქცია უნდა იყოს ვნებითის ან მედიოპასივის ფორმათა წარმოება. ზმნათა ერთ ნაწილში -n აფიქსი, რომელიც დაერთვის ზმნის ფუძეს სხვადასხვა შემაერთებელი ხმოვნის (-i ან -e) მეშვეობით, აწარმოებს ფორმებს, რომელნიც უკვე ტორპის მიერ პასივად იყო მიჩნეული⁸². თუკი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ ეტრუსკული აშკარა მიმართებას გვიჩვენებს ქართველურ ენებთან. -ენ/-ნ ვნებითი გვარის სუფიქსი საერთოქართველური წარმომავლობისაა (ქართ.-ენ/-ნ, მეგრ.-ჭან.-ან/-ნ, სვან-ენ/-ნ)⁸³ და იგი ძალზე პროდუქტიული იყო ძველ ქართულში, ხოლო სვანურში ახლაც ფუნქციონირებს. შდრ. ქართ. განვკაც-ნ-ები, შევწუხ-ნ-ები⁸⁴ და ა. შ.

როგორც ჩანს, ეტრუსკულ ზმნათა ერთ ნაწილში -in აფიქსს აკისრია კაუზატივის ან მისი მსგავსი ფორმის წარმოების მისია. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ზმნები, რომელნიც აშკარად გარდამავალნი არიან და მათში გამორიცხულია -in ვნებითის მაწარმოებელი იყოს: ა. მ. ჩვენ მიერ უკვე განხილულ TLE 315-ში ზმნა cerine „ააგო, გააკეთა“ აშკარად დაკავშირებულია

ერგატივში დასმულ სახელთან *clensi* „ვაჟიშვილმა“. სრულიად დასაშვებია ამ შემთხვევაში ზმნა შეიცავდეს კაუზატივის მნიშვნელობას „ააგებინა“. იგივე შეიძლება ითქვას ალბათ *in-e*-ზე დაბოლოებული მრავალი სხვა ზმნის შესახებ. ამგვარი დაშვების სისწორის შემთხვევაში ეტრუსკული აშკარა მიმართებას გვიჩვენებდა ქართველურთან. -ინ არის კაუზატიურ ფორმათა მაწარმოებელი საერთოქართველური სუფიქსი (ქართ.-ინ/-ენ, მეგრ.-ჰან.-ინ, სვან.-ინ)⁸⁵, რომელიც დღემდე პროდუქტიულია ქართველური ენებისათვის. მაგ., აღ-ვ-ა-დგ-ინ-ებ, წარ-ვ-ა-ვლ-ინ-ებ და ა. შ. ეს სუფიქსი იმდენად ორგანულია ქართველური ენებისათვის, რომ მრავალ ზმნაში მან კაუზატივის მნიშვნელობაც კი დაკარგა. მაგ., ვ-ი-სმ-ინ-ე, ვ-ი-თმ-ინ-ე⁸⁶ და ა. შ.

თითქმის დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ ეტრუსკული *-il* სუფიქსის მნიშვნელობა. იგი აწარმოებს ვნებითის მიმღებებს ზმნური ფუძეებიდან. ა. მ. *ac-il* „ქმნილება, ქმნილი“ ნაწარმოებია ზმნური ფუძიდან *ac*-„ქმნა, კეთება“. ამ შემთხვევაში შეხვედრა ქართველურთან სრულიად აშკარაა. ქართულ-ზანური *-ილ* (ქართ.-ილ, მეგრ.-ჰან.-ილ/-ირ)⁸⁷ ძალზე პროდუქტიული ქართველური სუფიქსია და იგი, მსგავსად ეტრუსკულისა, აწარმოებს ვნებითი გვარის მიმღებებს ზმნური ფუძეებიდან. მაგ., წერ-ილ-ი, და-სჯ-ილ-ი და ა. შ.

რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება შეხვედრები ქართველურსა და ეტრუსკულ ზმნას შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძნელია რაიმე გადაჭრით ითქვას მრავალრიცხოვან ეტრუსკულ ფორმანტთა შესახებ. ამდენად მათთან ქართველურ ფორმანტთა შეპირისპირებას შეიძლება მხოლოდ გარეგნული ხასიათი ჰქონდეს. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავება მომავალში მრავალ საყურადღებო მიმართებას გამოამჟღავნებს ამ ენებს შორის.

5) სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები. ამ მხრივ ეტრუსკულის შესახებ ჩვენ შედარებით მეტი ინფორმაცია გვაქვს. ვფიქრობთ, ქართველურთან საინტერესო მიმართებებს ამჟღავნებს ეტრუსკული კნინობითი, საალერსო სუფიქსები:

ეტრ.-*icu* გვხვდება უპირატესად მდედრობითი სქესის სახელებ-

თან: larθicu (←larθi), θanicu (←θana). მისი შეპირისპირება შეიძლება ქართველურ კნინობით სუფიქსთან -იკ/-იკ-ო: დედ-იკ-ო (←დედა), თამრ-იკ-ო (თამარი)⁸⁸ და ა. შ. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს ქართველური -კ-ს შემცველი კნინობითი სუფიქსების (-უკ, -აკ-იკ) ერთ-ერთ ვარიანტთან.

ეტრ.-iu გამოიყენება უპირატესად მამრობითი სქესის სახელებთან: larθiu (←larθ), auliu (←aule) და ა. შ. მასთან შეიძლება შევაპირისპიროთ ქართული კნინობითი -ია სუფიქსი, რომელიც ქართულზანური ერთიანობის დონემდე აღის (მეგრ.-ია)⁸⁹. შდრ. ძამია (←ძმა), და-ია (←და) და სხვ.

ეტრ.-la(-ula), -le გამოიყენება როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის სახელებთან: ranθula (←*ravnθula←ravnθu) „პატარა რანთუ“, fasle (←fase „ნამცხვარი“) „პატარა ნამცხვარი“ და ა. შ. შეიძლებოდა შეგვეპირისპირებინა ქართულ -ილ ან ურ-ა/ულ-ა კნინობით სუფიქსებთან. შდრ. მამ-ილ-ო, საკა-ურ-ა, ქვედრ-ულ-ა და სხვ.

სადაურობის, კუთვნილების მაწარმოებელ ეტრუსკულ სუფიქსთან ასევე მეტი წილი გვიჩვენებს კავშირს ქართველურ აფიქსებთან.

ეტრ.-θur გამოიყენება რაიმე გვარის ან საზოგადოებისადმი კუთვნილების აღსანიშნავად. ა. მ. velθur „ველის კუთვნილი“, ანუ „ველიანი“, paxθur „ბახუსის ამხანაგობის კუთვნილი“, ანუ „ბახუსიანი“ და ა. შ. მასთან შეიძლებოდა მეგრულ ენაში დადასტურებული სუფიქსალური -თურ-ის შეპირისპირება, რომელსაც აქვს ასევე კუთვნილების გაგება; ჩქიმითური „ჩემიანი“. ეს ელემენტი მეგრულში თავისი წარმოშობაზე უკავშირდება თა („ოჯახი“) ფუძეს⁹⁰

ეტრ.-ate აწარმოებს ეთნიკურსა და გეოგრაფიულ სახელებს: sentinate, frentinate და ა. შ. შეიძლება შევაპირისპიროთ ქართულ -ეთ ტოპონიმიკურ სუფიქსთან, რომელიც საერთოქართველურ დონემდე აღის (მეგრ.-ჭან. -ათ, სვან. -ეშდ)⁹¹. შდრ. თუშ-ეთ-ი, ზან-ათ-ი და სხვ.

ეტრ.-ane აწარმოებს ეთნიკურ სახელებს და აქვს კუთვნილების მნიშვნელობა veiane (←*veia) „ვეიელი“, „ვეიისა“, capevane (←capeva) „კაპუელი“, „კაპუსისა“ და ა. შ. მასთან შეიძლებოდა

შეგვეპირისპირებინა ქართველური -ან, რომელიც გამოიყოფა ქართველურ -იან (←*ივან),-ოვან, -ავან სუფიქსებში და საკმაოდ პროდუქტიულია ქართველურ ენებში². შდრ. ციციანი, რატიანი და სხვ.

ყველა ის შეხვედრა, რაც ჩვენ წარმოვადგინეთ, ვფიქრობთ, მიუთითებს ეტრუსკულსა და ქართველურ ენებს შორის არსებულ აშკარა მიმართებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეული მასალა მოცულობითაც და მნიშვნელობითაც საგრძნობლად აღემატება ყოველივე იმას, რაც აქამდე ყოფილა წარმოდგენილი ეტრუსკულის რომელიმე ენასთან თუ ენათა ჯგუფთან დაკავშირების მიზნით, ჩვენ მაინც შევიკავებდით თავს საბოლოო დასკვნისაგან ჩვენ მიერ შეპირისპირებულ ენათა გენეტიკური კავშირების თაობაზე. ამ სიფრთხილეს, პირველ რიგში, განაპირობებს ის განსხვავებანი, რაც ამ ენებს შორის შეინიშნება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეტრუსკული ქართველურისაგან განსხვავებით თითქმის არ ცნობს პრეფიქსაციას. მაგრამ ერთის თქმა, ვფიქრობთ, შეიძლება უცილობლად. ეტრუსკულ ენაში არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ქართველური ტიპის კომპონენტი. როგორ უნდა აიხსნას მისი არსებობა, გვაქვს თუ არა ამისათვის მყარი ისტორიული თუ არქეოლოგიური საფუძველი?

ენტრუსკულ-ქართვლური მიმართებების ისტორიულ- არქეოლოგიური საფუძველი

ენტრუსკების წარმომავლობის შესახებ უკვე ანტიკურ ეპოქაში იყო აზრთა სხვაობა. ზოგნი (ჰეროდოტე) მათ მოსულებად მიიჩნევდნენ, ზოგნი (დიონისიოს ჰალიკარნასელი) კი ავტონთონებად⁹³. და, მაინც, ვფიქრობთ, ანტიკური ცნობების ანალიზის შედეგად შეიძლება მივიღეთ შემდეგ დასკვნამდე: იტალიის ტერიტორიაზე ძველები, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, გამოჰყოფენ ეტრუსკთა ორ ძირითად ჯგუფს: მათ, რომელნიც აქ მოსახლეობდნენ ჯერ კიდევ ტროას ომამდე და მათ, რომელნიც ტროას ომის შემდგომ უნდა ყოფილიყვნენ გადმოსახლებულნი. ჰეროდოტეს წყალობით ჩვენ საკმაოდ სრული ინფორმაცია გვაქვს ამ უკანასკნელთა შესახებ (I, 94): „თვითონ ლიდიელები ამბობენ, რომ მათი, ისევე როგორც ელინების თამაშობანი, მათი გამოგონილია. ამბობენ, რომ ეს გამოიგონეს მაშინ, როდესაც ტირსენიე დაასახლეს. ხოლო ამის შესახებ შემდეგს ჰყვებიან: მანესის ძის, ატისის მეფობის დროს მთელ ლიდიაში საშინელი პურის ნაკლებობა იყო, ლიდიელები ერთხანს ითმენდნენ, ხოლო შემდეგ, რადგანაც არ გათავდა ეს შიმშილობა, გამოსავალს ეძებდნენ, ზოგი რას იგონებდა და ზოგი რას. მაშინ იქნა გამოგონილი კამათლის, ზარის, ბურთისა და ყველა სხვა სათამაშოების სახეები, გარდა კოჭებისა; აი, ამის აღმოჩენას ლიდიელები არ იჩემებენ. შიმშილის წინააღმდეგ გამოიგონეს ეს და შემდეგნაირად იქცეოდნენ: ორი დღიდან ერთს მთლიანად თამაშობაში ატარებდნენ, რათა არ მოსდომებოდათ საჭმელი, ხოლო მეორე დღეს თავს ანებებდნენ და სჭამდნენ. ასე გაატარეს მათ ორ წელ ნაკლებ 20. მაგრამ გაჭირვება მაინც არ შენელებულა, ის კი არა, უფრო მეტად გამძაფრდა. ამიტომ მათმა მეფემ ყველა ლიდიელი ორ ნაწილად გაჰყო და კენჭი ხვდა მხოლოდ ერთს, ხოლო

მეორე ნაწილს ერგო ქვეყნიდან წასვლა. იმ ნაწილს, რომელსაც წილად ხვდა დარჩენა, ის თვითონ დაუდგა მეფედ, ხოლო იმას, რომელიც უნდა წასულიყო, მან მეფედ დაუყენა თავისი შვილი, სახელად ტირსენოსი. ის ნაწილი, რომელსაც ერგო ქვეყნის დატოვება, წავიდა სმირნეში და ააგო იქ ხომალდები, დააწყო ზედ ყოველივე, რაც კი ესაჭიროებოდა ცურვისათვის და გასცურა სარჩოსა და მიწის საძებრად. მათ ბევრ ხალხს ჩაუარეს და მივიდნენ ომბრიკებამდე. აქ მათ დააარსეს ქალაქები და აქვე ცხოვრობენ დღემდე. ლიდიელების ნაცვლად მათ ახალი სახელი დაირქვეს იმ მეფის ძის მიხედვით, რომელმაც ისინი თავის ქვეყანაში წამოიყვანა. მისი სახელწოდების მიხედვით იწოდებიან ისინი ტირსენებად“. ჰეროდოტეს ამ ცნობის მიხედვით, შეგვიძლია მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ლიდიელი ტირსენოსის გადასახლება იმ შიმშილობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომელმაც მოიცვა ტროას ომის შემდგომ პერიოდში ეგეიდა. ამ შიმშილობაზე ჰეროდოტე სხვაგანაც ლაპარაკობს (VII, 171). რამდენადაც ჰეროდოტეს ქრონოლოგიის მიხედვით ტროას ომი დაახლოებით ძვ. წ. ა. 1250 წლის ფარგლებში უნდა მომხდარიყო, შიმშილობით გამოწვეული ხალხთა მოძრაობის დაწყება მხოლოდ ძვ. წ. ა. XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის უნდა დავუშვათ. ამასვე ადასტურებს ჰეროდოტეს მიერ მოხსენიებული ლიდიელთა მეფეების მანესისა და ატისის სახელები. ჰეროდოტეს მიხედვით, ისინი შეიძლებოდა მხოლოდ გმირთა საუკუნის ლიდიური დინასტიის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, რადგან ძვ. წ. ა. II ათასწლეულის დასასრულიდან, მისი ცნობით, ძალაუფლება ლიდაში ჰერაკლიდებს ეპყრათ, ხოლო მათ შემდეგ კი მერმნადებს (I, 7...). ბერძენ ისტორიკოსს თუ დავუჭერებთ, თავად სახელწოდება ტირსენიელიც შეიძლებოდა მხოლოდ არაუადრეს ძვ. წ. ა. XIII საუკუნის მეორე ნახევრისა წარმოქმნილიყო. ჰეროდოტეს ამ ცნობებს გარკვეულად მხარს უჭერს ძველი აღმოსავლური წერილობითი წყაროები. კერძოდ ის, რომ ძვ. წ. ა. XIII საუკუნის მიწურულისათვის ეგეიდასა და ანატოლიაში საოცარი შიმშილობა ყოფილა, რომელმაც რამდენადმე განაპირობა ე. წ. „ზღვის ხალხების“ ამოძრავება, დღეს შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ. შიმშილობა ხეთების მეფის ტუდჰალიას IV-ის (1265—1235) მმართველობის უკანასკნელ წლებში დაწყებულა და, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდხანს

გრძელდებოდა⁹⁴. ასევე საინტერესოა, რომ ძველი ეგვიპტური წყაროები სწორედ ძვ. წ. ა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში, 30-იან ან 20-იან წლებში, პერ-ირთან ეგვიპტელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ლიბიის მოკავშირე ე. წ. „ზღვის ხალხებს“ შორის გვისახელებენ ტერემ ან ტურშა (Trš) ტომს. მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ეს ტირსენიელების პირველი და უკანასკნელი მოხსენიებაა ეგვიდაში⁹⁵. მართლაც, არც უფრო ადრეული და არც უფრო გვიანდელი წყაროები ამ ტომს აღარ მოიხსენიებენ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეტრუსკების სახელწოდებაში აშკარად გამოიყოფა ტრუს- (*←trus) ძირი, მაშინ პეროდოტეს ცნობა შეიძლება მივიჩნიოთ ანტიკურ ინფორმაციად I ათასწლეულში ფორმირებული ეტრუსკული ეთნოსის ერთ-ერთი კომპონენტის — მცირეაზიელ ტირსენიელთა შესახებ. მაგრამ ანტიკური ხანის მოღვაწეები, როგორც ჩანს, არ გამოორიცხავდნენ ეტრუსკულში სხვა კომპონენტის — ე. წ. პელასგურის არსებობასაც.

იგივე პეროდოტე თავის ისტორიაში (I, 57), სხვათა შორის, მოიხსენიებს პელასგებს, „რომლებიც ახლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ ქალაქ კრესტონში და რომლებიც ოდესღაც ემეზობლებოდნენ ახლა დორიელებად წოდებულებს (მათ ეკუთვნით ის მიწა, რომელიც ახლა თესალიოტიდად იწოდება)“. ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ პეროდოტეს ამ ცნობის სისწორეში. ბერძენი ისტორიკოსის მიხედვით, მისი დროისათვის პელასგები ცხოვრობდნენ, ერთი მხრივ, იტალიის კრესტონსა და, მეორე მხრივ, პელესპონტში და ისინი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ (I, 57). ის, რომ პელასგების გადასახლება საბერძნეთიდან როგორც ანატოლიაში, ასევე იტალიაშიც ჯერ კიდევ ტროას ომამდე დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო, სხვა მონაცემებთან ერთად იმითაც დასტურდება, რომ „ილიადის“ „ხომალდთა კატალოგისა“ და, საერთოდ, ჰომეროსის პოემების მონაცემთა მიხედვით ტროას ომის დროისათვის პელასგები კონტინენტურ საბერძნეთში აღარ მოსახლეობდნენ⁹⁶. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ანტიკური ცნობები იტალიის ადრეული, პელასგური კოლონიზაციის შესახებ. ისინი ყველაზე მეტად სისტემატიზებული სახით დიონისე ჰალიკარნასელთან (ძვ. წ. ა. I ს.) არიან წარმოდგენილი. დიონისეს ცნობით, პელას-

გები თვით კონტინენტურ საბერძნეთში ტროას ომამდე 17 თაობით ადრე უნდა გამოჩენილიყვნენ (I, 11, 2). ეს, თუკი მხედველობაში ტროას ომის პეროდოტესეულ თარიღს (± 1250) მივიღებთ, დაახლოებით ძვ. წ. ა. II ათასწლეულის პირველი მეოთხედის განმავლობაში უნდა მომხდარიყო. მას შემდეგ, რაც პელასგები განსახლდნენ საბერძნეთში, მათი ნაწილი ეპირედან ზღვით იტალიისკენ გაემურა და იქ დააარსა დასახლებები: სპინა, კორტონა. შემდეგ ისინი აღწევენ იმ ტერიტორიებს, რომელნიც მოგვიანებით ეტრურიაში შედიოდნენ და აგებენ ქალაქს აგილა. მათ, როგორც ჩანს, იტალიაში ბინადარი ავტონომიებისათვის წაუერთმევიათ ცალკეული დასახლებები, თუმცა შემდგომ თვით დამორჩილებიან მთელ რიგ ადგილებში ეტრუსკებს. ამაზე, ანტიკური ცნობების მიხედვით, ისიც მეტყველებს, რომ ზოგიერთმა პელასგურმა დასახლებამ ეტრუსკული სახელი მიიღო, მაგალითად, აგილამ კერე (Strab. I, 2, 3). ანტიკური ცნობების მიხედვით პელასგები და ეტრუსკები ერთმანეთისაგან უნდა გაემიჯნოთ. ერთნი უფრო ადრე (ჯერ კიდევ ტროას ომამდე) მოსულან იტალიაში, მეორენი კი უფრო გვიან (ომის შემდგომ)—ანატოლიდან, როგორც ამას ძველ ავტორთა უმეტესობა აღიარებს⁹⁷. თვით გადმოსახლებულ ტირსენიელებში, ზოგიერთი ცნობის თანახმად, პელასგებიც უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადაც მათი ნაწილი ტროას ომის ეპოქისათვის უკვე ანატოლიისა და ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულებზე ჩანს გადასახლებული. ასე, თუკი სტრაბონს დაუუჯერებთ, ანტიკლიდეს მიხედვით ტირსენოსს თან პელასგების ნაწილიც წაჰყოლია იტალიაში (V, 2, 4). ამან, როგორც ჩანს, ის გამოიწვია, რომ ზოგიერთ წყაროში პელასგები და ტირსენიელები გაიგივებულნი არიან (პელანიკე დიონისიოსთან, I, 28). ეს, სხვათა შორის, თავს იჩენს, როგორც ჩანს, სრულიად გაუცნობიერებლად, იმ წყაროებშიც, რომლებშიც ნებისთნე უნებლიეთ ლაპარაკია იტალიაში უკვე ტროას ომამდე ბინადარ ე. წ. ძველ ეტრუსკებზე. ისინი „ენეიდას“ მიხედვით უნდა დახვედროდნენ იტალიაში ენეასს, თუმცა სქოლასტის შენიშვნით ვერგილიუსი „ურევს ერთმანეთში ორ ეტრურიას, ძველსა და თანამედროვეს“ («Sed Vergilius miscet duas Etrurias, veterem et inferiorem»)⁹⁸ ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ის, რომ ვერგილიუსისათვის ეტრუსკები აშკარად ლიდიელი კოლონისტები არიან, მაგრამ ისინი რატომღაც უკვე ტროას ომის მონაწილე ენეასამდე დამკვიდრებულნი

ჩანან იტალიაში. იმაზე, რომ ეს ძველი ეტრურია მართლაც უნდა არსებულებოდა, კოლხ კირკესთან დაკავშირებული ზოგიერთი ძველი ბერძნული ცნობაც მეტყველებს. ა. მ., ჰესიოდეს მიხედვით (თეოგონ. 1011—1016): „კირკემ, ჰიპერიონიდ ჰელიოსის ასულმა, სულით ძლიერ ოდისევსთან შეკავშირებულმა, შვა აგრიოსი და ლატინოსი უზადო და ძლევამოსილი, და ტელეგონეც შვა ოქროს აფროდიტეს მეშვეობით. ისინი ძალზე შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში ყველა სახელოვან ტირსენიელზე მეფობდნენ“. ამ შემთხვევაში აშკარად იტალია იგულისხმება, რადგან, ჰესიოდეს თანახმად, კირკეს ჰელიოსმა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთით დაუღო ბინა⁹⁹. ბუნებრივია, ოდისევსის შვილებს შეეძლოთ ემეფნათ იმ ტომებზე, რომელნიც უკვე ტროას ომის შემდგომ ლიდიიდან გადმოსახლებულ ტირსენიელებზე აღრე იყვნენ იტალიაში დამკვიდრებულნი. ჰესიოდესთან შედარებით ახალი სახელი—ტირსენიელი გამოყენებულია იტალიის ძველ მკვიდრთა აღსანიშნავად. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ეტრუსკული ეთნოსის უფრო აღრეული, ტირსენებამდელი კომპონენტი უნდა ყოფილიყო ე. წ. პელასგური ტიპის სუბსტრატი, რომელთანაც უძველესი ბერძნული წყაროები გარკვეული თვალსაზრისით აკავშირებენ მითიური კოლხი კირკეს დასავლეთში გადასახლებას¹⁰⁰.

ანტიკურ წყაროებში საკმაოდ უხვად ვხვდებით იმაზე მინიშნებას, რომ პელასგებიცა და ტირსენიელებიც, თავის მხრივ, იტალიაში ხვდებოდნენ მრავალრიცხოვან ადგილობრივ თუ სხვადასხვა დროს გადმოსახლებულ ტომებს: სიკულებს, უმბრებს, ლატინებს, ოსკებს, ელინებსა და სხვ. შესაბამისად, მათი კვალიც რამდენადმე უნდა. ასახულიყო I ათასწლეულში ასპარეზზე გამოსული ეტრუსკული ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში.

ვფიქრობთ, რომ ანტიკური წყაროების ამ მონაცემებისა და თანამედროვე გამოკვლევათა, მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ ეტრუსკულ-ქართველურ ენობრივ შეპირისპირებათა, გათვალისწინება დაგვეხმარება შედარებით ზუსტად განვსაზღვროთ ეტრუსკულში დადასტურებულ ენობრივ ელემენტთა სახე და მათი ურთიერთმიმართების ხასიათი. ჩვენის აზრით, ეტრუსკულში შეიძლება გამოვავლინოთ ის ელემენტები, რომელნიც პრეისტორიული

იტალიის მოსახლეობის შემდეგ ძირითად შრეებთან შეიძლება და ყოფილიყო დაკავშირებული :

ა) უძველესი მედიტერანული შრე, რომელიც შეესაბამება ანტიკურ ცნობათა მიხედვით იტალიაში პელასგებამდე არსებულ ვითარებას. ეს შრე კავშირშია, თავის მხრივ, ე. წ. „კერამიკული“ იტალიური პრეისტორიული კულტურების¹⁰¹ უკანასკნელ ეტაპთან. პიტიონის მიხედვით,¹⁰² ძვ. წ. ა. VI ათასწლეულიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე პერიოდი იტალიურ არქეოლოგიაში: ე. წ. Grundkeramikum ($\pm 5500-4800$), რომელიც მეზოლითიდან ნეოლითზე გადასვლით აღინიშნა, Frühkeramikum ($\pm 4800-3500$), Mittelkeramikum ($\pm 3500-2700$), Spätkeramikum ($\pm 2700/2600-1800/1700$). ამ უკანასკნელ, ე. წ. გვიანკერამიკულ პერიოდში ჩნდება სპილენძი. მისი წარმოქმნა, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო აღმოსავლურ მიგრაციებთან და იგი დასაბამს იმ სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური ნეოლითური კულტურების (Jarmo, Jericho, Çatal-Hüyük) წიაღში იღებს¹⁰³, რომელთაც, როგორც უკანასკნელი ხანების გამოკვლევები გვიჩვენებს, მისცეს იმპულსები ძვ. წ. ა. III ათასწლეულისათვის ხმელთაშუა ზღვის თითქმის მთელ აუზში გარკვეული კულტურული ერთიანობის წარმოქმნას¹⁰⁴. მართალია, ამ შრეს დროთა განმავლობაში შეერწყა ცალკეული მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი როგორც ლოკალური, ავტოხთონური, ასევე სამხრეთული (აფრიკული), თუ ჩრდილოეთური კულტურის ელემენტი, მაგრამ ძვ. წ. ა. II ათასწლეულის პირველ ნახევრამდე აღნიშნული რეგიონი მაინც ძირითადად ე. წ. მედიტერანული იმპულსებით საზრდოობდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდამდე აღის ე. წ. მედიტერანულ ენობრივ თავისებურებათა მთელი რიგი. ისინი თავისი ხასიათით ე. წ. ეგოსურ-ანატოლიურ ტიპში უნდა გავაერთიანოთ. ეტრუსკულში, განსაკუთრებით მის ფონოლოგიურ სისტემაში¹⁰⁵, ამ შრეს, ალბათ როგორც სუბსტრატს, საკმაოდ მნიშვნელოვანი ანარეკლი უნდა ჰქონოდა.

ბ) ე. წ. კავკასიურ-პელასგური შრე, რომელიც იტალიაში ძვ. წ. ა. II ათასწლეულის პირველ ნახევრიდან დაწყებულ მიგრაციებს უნდა შემოეტანათ. ისინი დაკავშირებულნი უნდა ყოფილიყვნენ ე. წ. აპენინის კულტურის დამკვიდრებასთან იტალიაში. ეს კულტურა აშკარად გვიჩვენებს მიმართებას ეგეიდის შუა ჰელადურ კულტურ-

რასთან და, საერთოდ, მთელი II ათასწლეულის განმავლობაში ეგეოსურ-მიკენურ სამყაროსთან საკმაოდ მნიშვნელოვან კონტაქტებს ავლენს¹⁰⁶. ჩვენის აზრით, ამ კულტურის წარმოქმნა ანტიკური ცნობების პელასგ ემიგრანტებს უნდა მივაწეროთ. თავის მხრივ, თვით შუა ჰელადური კულტურის წარმოქმნა ჩვენ მიგვაჩნია ეგეიდაში კავკასიური, უბირატესად ქართველური ტომების მიგრაციის შედეგად ძვ. წ. ა. II ათასწლეულის დამდეგს¹⁰⁷. როგორც ირკვევა, მათ ეგეოსურ სამყაროში შემოიტანეს აშკარა ქართველური კომპონენტი, რაც წინაბერძნულ ენობრივ სამყაროში ათობით წმინდა ქართველური სტრუქტურის სიტყვისა და ტერმინის არსებობით დასტურდება¹⁰⁸. როგორც ჩანს, ეს ტალღა ძვ. წ. ა. II ათასწლეულის განმავლობაში გავრცელდა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში, რისი შედეგიც უნდა იყოს აქ შუა ჰელადური ტიპის კულტურების აღმოცენება და პელასგურ-კავკასიური ენობრივი ელემენტების გავრცელება¹⁰⁹. სწორედ მიგრაციათა ამ ტალღამ მოუშადა, ჩვენის აზრით, საფუძველი შემდგომ ფორმირებულ ეტრუსკულ ენას.

როგორც ჩვენი გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, პელასგურ-ქართველური ელემენტები ალბათ ყველაზე უფრო არსებითია ეტრუსკულში. სხვათა შორის ამ შრის კვალზე ეტრუსკულში მიუთითებს ეტრუსკული ონომასტიკის ანალიზიც. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ს. ფერის ნაშრომზე, რომელიც ორი სახელწოდების მქონე ეტრუსკულ დასახლებებს ეხება¹¹⁰. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის დასახლებები, რომელთაც უკვე ანტიკური ცნობების მიხედვით, ჰქონდათ ძველი (პელასგური) და ახალი (ტირსენიული) სახელწოდებები. ფერი გვიჩვენებს, რომ ძველი სახელწოდება, როგორც წესი, ყოველთვის ავლენს კავშირს ეგეოსურსა და კავკასიურ ონომასტიკასთან. ა. მ. ეტრ. *Tusci* და კავკ. *Τουσαι* (ქართველურ ტომის თუშების სახელწოდება ბერძნ. წყაროებში), ეტრ. *Tutna* და კავკ. *Τάτινα*, ეტრ. *Sovan-Suani* და კავკ. *Σοάνες* (სვანების სახელწოდება ბერძნ. წყაროებში) და ა. შ. აქვე უნდა განვიხილოთ ალბათ ეტრ. *Cortona*, რომელიც ჩანს, კავშირშია პელასგურ *Κόρτας* (= *Γόρτας*)-თან, ალბათ უკვე B-ხაზოვან *ko-tu*-ში დადასტურებულიდან. ჩვენის აზრით, მათი აყვანა შეიძლებოდა ქართულ-ზანურ კორდ-/კორტ- „კორდი“¹¹¹ ფუძემდებ, რომელიც გვხვდება ქართველურ ტოპონიმებში: კორტანეთი, კორტი, კორდი და ა. შ.

გ) ჩრდილოეთის შრე, როგორც ჩანს, დაკავშირებული ე. წ. დასამარხ ურნათა ველების ინდოევროპული ტომების კულტურასთან. მან, თავის მხრივ, მისცა იმპულსი ძვ. წ. ა. II ათასწლეულის მიწურულში ჯერ ე. წ. პროტოვილანოვას, ხოლო შემდგომ კი ვილანოვას კულტურის აღმოცენებას¹¹². როგორც ფიქრობენ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იტალიის ინდოევროპეიზაციის პროცესის დასაწყისთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ აპენინის, ხოლო შემდგომ უკვე საკუთრივ ეტრუსკულ კულტურასთან ურთიერთობის შედეგად, ინდოევროპულმა ელემენტებმაც გარკვეული ასახვა პოვა ეტრუსკულის ფორმირების პროცესში. ამაზე მიუთითებს ის ინდოევროპეიზმები, რომელნიც გამოვლენილია როგორც ეტრუსკულ ლექსიკაში, ასევე რამდენადმე, ეტრუსკულ გრამატიკაშიც¹¹³.

დ) ანატოლიურ-ტირსენიული შრე, რომელიც დაკავშირებულია, შესაძლოა, არაერთგვაროვან ანატოლიურ ტომთა გადმოსახლებასთან დასავლეთ მცირე აზიიდან. მათ შემოიტანეს იტალიაში მაღალგანვითარებული საქალაქო კულტურა ძვ. წ. ა. I ათასწლეულის დასაწყისისათვის. მათვე მიეწერებათ იმ ელემენტთა გავრცელება იტალიაში, რომელნიც დამახასიათებელი იყო სწორედ ამ პერიოდის ეგეიდა-ანატოლიისათვის. ეს არის, პირველ რიგში, ე. წ. ორიენტალიზებული სტილი არქიტექტურასა და ხელოვნებაში¹¹⁴, ე. წ. „ზღვის ხალხებისათვის“ დამახასიათებელი ბრინჯაოს მცირე ზომის სტატუეტები, მათ შორის ითიფალიკური ქანდაკებები¹¹⁵ და სხვ. მაგრამ დარწმუნებით ამ კომპონენტის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი ეტრუსკული გამოამჟღავნებს ენობრივ კავშირებს ძვ. წ. ა. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასავლეთ მცირე-აზიულ ტომებთან. ამისათვის, თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენდა დასავლეთ ანატოლია, პირველ რიგში კი ლიღია, ენობრივი თვალსაზრისით ძვ. წ. ა. XIV—XIII საუკუნეებისათვის. თუკი პირველი ათასწლეულის მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ლიდიური არის ხეთურ-ლუვიური ჯგუფის ანატოლიური ინდოევროპული ენა¹¹⁶. მაგრამ მისი ლექსიკის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ლიდიურში ჭარბობს არაინდოევროპული წარმომავლობის სიტყვები¹¹⁷.

როგორც ჩანს, ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ დასავლეთ და სამხრეთ ანატოლიის ხეთიზაციის პროცესი მხოლოდ ძვ. წ. ა. I ათასწლეულის დასაწყისისათვის დასრულდა და რომ მანამდე აქ მნიშვნელოვანწილად არაინდოევროპული სუბსტრატული ენები უნდა ყოფილიყო გავრცელებული¹¹⁸. სხვათა შორის, ამას ადასტურებს კ. ლემნოსის იდუმალებით მოცული ბერძნული დამწერლობის სისტემით შესრულებული წარწერაც, რომელიც ძვ. წ. ა. VI საუკუნით თარიღდება¹¹⁹. ის, რომ ანტიკური ცნობების მიხედვით, ძვ. წ. ა. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ლემნოსი ორგანულ კავშირში უნდა ყოფილიყო დასავლეთ ანატოლიასთან, ეჭვს არ იწვევს. არც ისაა საეჭვო, რომ ტირსენიელების მოძრაობა გარკვეულად ლემნოსთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თვით სინტიები, ჰომეროსის მიხედვით, ლემნოსის მკვიდრნი, აშკარად ეგეოსური ტომია¹²⁰. ლემნოსის წარწერის გაუშიფრავი ენის მსგავსებაზე ეტრუსკულთან არაერთგზის გაუმახვილებიათ ყურადღება, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ შეძლო ეჩვენებინა მათ შორის აშკარა კავშირი¹²¹. სრულიად ნათელია, რომ თუკი ეტრუსკები მართლაც ტირსენიელები არიან, მაშინ ძვ. წ. ა. VI საუკუნის ჭეშმარიტად ტირსენიულ (-ლემნოსურ) და ამავე პერიოდის ეტრუსკულ წარწერებს შორის აშკარად ორგანული კავშირი უნდა იყოს. მაგრამ ლემნოსური წარწერა თავისი სტრუქტურით მაინც არ შეიძლება ეტრუსკულად მივიჩნიოთ. ამასთან ისიც აშკარაა, რომ ლემნოსურს არაფერი აქვს საერთო ინდოევროპულ ლიდიურ ენასთან. თუმცა შეიძლება ის გარკვეულ მიმართებებს ამჟღავნებდეს ლიდიურის არაინდოევროპულ სუბსტრატთან. უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიექცა ლემნოსურ წარწერაში ხურიტიზმებს, რაც სავსებით გასაგები იქნება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთ და სამხრეთ ანატოლიაში II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის ზურიტულის საკმაოდ ძლიერი გავლენა შეინიშნება. თავის დროზე, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ძვ. წ. ა. XIV—XIII საუკუნეებში ანატოლიის სამხრეთი და დასავლეთი სანაპირო ზოლი ძირითადად ეგეოსურ-ხურიტული ტომებით იყო დასახლებული, რომ ტროელთა და მათ მოკავშირეთა ბირთვის სწორედ ეს ტომები ქმნიდნენ¹²². ამჟამად ეს თვალსაზრისი თანამედროვე გამოკვლევათა შუქზე საკმაოდ მყარ დასაყრდენს პოვებს. ი. მ. დიაკონოვი თავის უახლეს ნაშრომში ხურიტულისა და სუბსტრატული ანატოლიური ენ-

